საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა, 21 დეკემბერი, 1919 წ.

# ერთობა

ფასი 2 მანეთი

გაზეთი ღირს 1 თვით 50 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 2 მანეთი. განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 4 მანეთი. მეოთხე გვერდზე 3 მან. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომისა 80 მანეთი. ნისია განცხადებები არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორის ადრესი: რუსთაველის პრ. № 24.
ტელეფონი 6—62.

№ 291 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებ სა № 291

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე ეკა, შვილები: პროკოფი და აგრაფინა; რძლები: ლიუდი და ანიჩკა; შვილის შვილები: ლალიჩკა, მიშიკო და მარუსია; რძალი ანნა, ძმისშვილები: ნარო, სამსონ, ფოცია, პავლე, ვარია, შოთა და ნესტორ კალანდაძეები აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა სამშაბათს 16 ქრისტეშობისთვეს მათთვის ძვირფასი

ალექსი გიჭიას ძე კალანდაძე

დაკრძალვა სოფ. ხიდისთავში (გურია) წმინდა გიორგის ეკლესიის გალავანში შაბათს 20 ქრისტეშობისთვეს 12 ს. (3326 1—1)

ღრმად დამწუხრებულნი დეიდები: რახილ ასათიანისა, ეკატერინე ოდიკაძისა, ძმა ვალიკო, და ნინა გოგოლაძისა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას 21 ამთვეს 10 ს. კუკიის სასაფლაოზე გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი სადახლოსთან გმირულად დაღუპულ პოდპორუჩიკ

შალიკო გოგოლაძის

წლის თავის აღსანიშნავად (3324—1—1)

მე 5 ქვეითა ათასეულის უფროსი, ოფიცრები და ჯარისკაცები მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, რომ სომხებთან ბრძოლაში გმირულად დაღუპულ პორუჩიკების

გარნაგაშვილის და დოლიძის

ამასთანავე ჯარისკაცთა გარდაცვალების წლის თავზე დანიშნულია პანაშვიდი კვირას, 21 დეკემბერს დილის 10 საათზე მე-5 ათასეულის ეკლესიაში. (3332 1—1)

## სახალხო თეატრი

კვირას 21 დეკემბერს

ნინო ჩხეიძის

# იუბილე

ოცდა ხუთი წლის სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავად.

დილით:
I განყოფილება
საიუბილეო ზეიმი
II განყოფილება
„აბესალომ და ეთერი"
მე-2 რე მოქმედება ზ. ფალიაშვილის ოპერიდან. მონაწილეობას იღებს საოპერო დასი.

საღამოთი:
საიუბილეო წარმოდგენა
I განყოფილება
„უბედური ნაბიჯი"
დრამა 3 მოქ. კარეევისა.
II განყოფილება
„ლალატი"
მე-5 მოქ. ა. სუმბათაშვილის დრამიდან.

დასაწყისი დილის ზეიმისა სრულ 12 ს., საღამოს წარმოდგენისა სრულ 8 ს. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში. (ნ. 4—4)

საქართველოს სახაზინო რკინის გზების კავშირის ცენტრალურ გამგეობასთან არსებულ

## კულტურა განათლების

კომისიას განზრახული აქვს შეიძინოს პროფესიონალური, ლიტერატურული და პოლიტიკური ხასიათის ქართული წიგნები. მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე ხსენებულ კომისიის თავმჯდომარესთან დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე ელისაბედის ქუჩა № 200. (ნ. 6—3)

2 იანვარს 1920 წელს

ქართულ მსახიობთა კავშირი

საქართველოს ყველა დაბა-ქალაქებში გამართავს

## მსახიობთა დღეს

(ნ. 2—2)

## საჭიროა ქალი

კარგად მცოდნე ქართულ და რუსულ მანქანაზე მუშაობისა, რკინის გზელთა პროფესიონალურ კავშირის ცენტრალურ გამგეობისთვის, ელისაბედის ქუჩა, № 200. თხოვნების მიღება და გამოცდა დანიშნულია ორშაბათს, 22 დეკემბერს, დილის 9 საათზე. (ნ. 2—2)

## ქართველ მსახიობთა კავშირთა საბჭო

აცხადებს, რომ იანვრის 2 სათვის იგი გამოსცემს ერთ დღიურ გაზეთს

## „მსახიობის დღე"-ს

შალვა დადიანის რედაქტორობით.

ვთხოვთ ყველა თანამგრძნობთ მასალები მოგვაწოდონ 26 დეკემბრამდე ქართველ მსახიობთა კავშირის კანტორაში დამფუძნებელი კრების ქ. № 5, გაზეთისათვის შ. დადიანს. (ნ. 1—1)

## ესიკოვსკის ცირკის დარბაზში

(ვერის დაღმართი).

კვირას, 21 დეკემბერს, დილის 12 საათზე, დანიშნულია თფილისის ქალ. მილიციის კოოპერატივის წევრთა საერთო

## ჩვეულებრივი კრება

დღიური წესრიგი: 1) გამგეობის მოხსენება კოოპერატივის, 1918 წლის და 1919 წლის, მეორე ნახევრის მოქმედების შესახებ და წლიური ანგარიშის განხილვა; 2) სარევიზიო კომისიის მოხსენება; 3) გამგეობის ორი წევრის არჩევა; 4) სარევიზიო კომისიის არჩევა; 5) მიმდინარე საკითხები. კრებაზე კენჭის ყრაში მონაწილეობისათვის საჭიროა კოოპ. საწევრო წიგნაკების წარმოდგენა.
(3270—1—1)
გამგეობა.

## „იცან თავი შენი"

უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში საზოგადოების ყურადღების ცენტრათ ამიერ კავკასიის რესპუბლიკათა მომავალი ბედი გამხდარა ყველა, დიდი და პატარა მოულოდნელათა და ერთგვარის აღელვებით მოელის განაჩენს. ეს გარემოება გამოიწვია იმ ამბავმა, რომ ამ უკანასკნელ დროს ანტანტის ხელმძღვანელმა წრეებმა უკვე დასვეს წინასწარ სამსჯელოთ ამიერკავკასიის საკითხი სავსებით და კერძოთ ჩვენიც. ევროპის დიპლომატები და ევროპიული პრესა მეტ ყურადღებას აქცევს ამ ბოლო დროს ჩვენ საქმეებს. ალაპარაკდა პრესა ლონდონის თათბირის გამო. ამ ათიოდე დღის წინათ რადიომ ყრუთ გადმოგვცა, რომ ლონდონის თათბირმა უკვე მიიღო წინასწარი ზოგადი გადაწყვეტილება რუსეთისა და განაპირა სახელმწიფოების შესახებ, და თან დასძინდა, რომ ეს გადაწყვეტილება ერთხმათ იქნა მიღებული და არსებითადაც დიდ კმაყოფილებას იწვევს მთელ საზოგადოებაში. უნდა გვეგულისხმებია, რომ ლონდონში რაღაც გადაწყვეტილა, ნიშნები ისეთი იყო, რომ ეს გადაწყვეტილება ჩვენდა სასარგებლოთ უნდა მომხდარიყოს. ამ მოლოდინს ამტკიცებდა მთელი რიგი ნიშნებისა. პირველ ყოვლისა ევროპის პასუხისმგებელ ორგანოებისა და პოლიტიკურ მოღვაწეთა განცხადებანი, რომელიც მიმართული იყო დენიკინ-კოლჩაკის უარყოფისა და ახლად წარმოშობილ სახელმწიფოთა ცნობისაკენ. ამავე მიდრეკილების მაჩვენებელი იყო ის გარემოებაც, რომ ინგლისისა და საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელნი ერთი მეორეს შეხვდენ კოპენჰაგენში ტყვეთა საკითხის შესახებ მოსალაპარაკებლად.

ასეთივე იმედების აღმძვრელი იყო ბატონ უორდროპისა და ჰასკელის საუბარი რესპუბლიკის საგარეო მინისტრთან ე. პ. გეგეჭკორთან. რამდენიმეთ შეეფერა ამ საერთო განწყობილებას ადმირალ დე-ბონის დარბაზობის კილო და ქცევა. საერთოდ უკანასკნელ კვირეებსა და დღეებში, ასე ვთქვათ, კარგი საერთაშორისო აუსპიციები გვქონდა.

ყველა მოქალაქე დარწმუნებული იყო და ახლაც არის, რომ ლონდონის საიდუმლო თათბირზე უკვე გამოტანილია რაღაც განჩინება. როგორც ეტყობა, ეს განჩინება ჩვენ სასარგებლოთ უნდა იყოს დადგენილი, ეს თითქოს გამოსჭვიოდა ზემოხსენებულ ბუნდოვან რადიოდან. მკითხველი ამ უკანასკნელი დღეების განმავლობაში ყოველ დღე გულის ფანცქალით იღებს ხელში გაზეთს, რადგან მოელის უკვე გამოტანილ განჩინების გამოცხადებას; საზოგადოება თითქოს რამდენიმეთ სულიერ სიმშვიდესაც კი კარგავს, მას ამ მოლოდინში ძარღვები დაეჭიმა. ის მოუთმენლათ მოელის „გადამჭრელი სიტყვის" ამოკითხვას გაზეთებში, რათა შემდეგ თავისუფლათ ამოისუნთქოს და თავის ჩვეულებრივი საქმიანობა დამშვიდებულათ განაგრძოს. მაგრამ ამაოთ, ჯერ-ჯერობით მდგომარეობა ისევ გამოურკვეველი რჩება, როგორც ამ ორიოდე კვირის წინ იყო. ახალი არაფერია, გარდა იმისა, რომ კოპენგაგენის მოლაპარაკება შეწყდა, როგორც ამბობენ, დროებით. გარდა ამისა, გამოირკვა ზოგადი ხასიათი ლონდონის დადგენილებისა ბოლშევიკების შესახებ. ამ დადგენილების მოკლე ფორმულა ასეთია—„ბოლშევიკებთან არც ზავი და არც ომი". ეს „კლასიკური" ფორმულა, როგორც მკითხველმა იცის, ბრესტლიტოვსკის გმირს ბატონ ტროცკის ეკუთვნის. ასეთი ფრაზა შეიძლება დიპლომატიურ ლექსიკონში არსებობდეს, ხოლო სინამდვილე ასეთ „დიალექტიკას" ვერ იტანს, ის მოითხოვს ან ზავს ან ომს. ხოლო ცხოვრებაში ფორმულა „არც ზავი და არც ომი" ფატალურათ თავდება ამ ფორმულის მეორე ნახევრის სასარგებლოთ. ამ გვარათ ანტანტა, როგორც სჩანს, განაგრძობს ბრძოლას ბოლშევიკების წინააღმდეგ, ხოლო ფორმა და საშუალება ამ ბრძოლისა იქნება ახალი. კოლჩაკ-დენიკინს ამიერიდან ისინი არ დაეხმარებიან სამოქალაქო ომში ფულით, იარაღით და ცოცხალი ძალით.

„მთლიანი და განუყოფელი" რუსეთის აღდგენა რეაქციონერთა საშუალებით აღარ შედის ანტანტის ხელმძღვანელთა გეგმაში. აქედან ლოგიკურათ გამომდინარეობს მეორე პოლიტიკა, მეორე გზა, რომელზედაც ასე აშკარათ და მტკიცეთ მიუთითა ინგლისის მთავრობამ ამ უკანასკნელ დღეებში ასკვიტმა.

სახელდობრ ყოფილ რუსეთის ტერიტორიაზე აღმოცენებულ ახალ სახელმწიფოთა ცნობა და კომუნისტურ რუსეთის წინააღმდეგ მხოლოდ ბოიკოტი და არა ომი.

როგორც სჩანს დაახლოებით სწორეთ ასეთია ლონდონის თათბირის დადგენილება ბოლშევიკების შესახებ და ეს გარემოებაც კიდევ უფრო გვარწმუნებს იმაში, რომ ეგრეთ წოდებულ განაპირა ქვეყნების ბედს საერთოთ და კერძოდ ჩვენსას კარგი პირი უჩანს. ეს ჩვენთვის სასურველი დადგენილება, თუ ჯერ გამოტანილი არაა, უთუოდ დაიწერება უმთავრესი უკვე მოხდა. დელფოსის ტაძარზე ეწერა „იცან თავი შენიო". ეს თქმულება დიდმა სოკრატმა თავის ფილოსოფიის დევიზათ გაიხადა. საქართველოს დემოკრატიის ისტორიამ უბრძანა „იცან თავი შენიო", მან უკვე იცნო თავი. ეს კი თითქმის ყველაფერია, თითქმის კი არა და ყველაფერია. საქართველო ფაქტია. რასაკვირველია ფაქტი თავის წერილობით გამოხატულებას იპოვის ნერვიანობას აქ ადგილი არ ქონდეს. ორი კვირით აღრე, თუ ორი თვით გვიან მოხდება ეს ფორმალური აქტი, ამას რა მნიშვნელობა აქვს ერის ისტორიაში.

მეტი დამშვიდება, ნაკლები ნერვიანობა. მთელი ყურადღება სახლისაკენ, შინისაკენ.

ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობის საკითხი სწყდება არაწ გარეთ, არამედ შიგნით, სახლში. განვამტკიცოთ ჩვენი შინაური მდგომარეობა და საგარეო კითხვა ამით გადიჭრება, ასე სთქვა თავის უკანასკნელ მოხსენებაში და სთქვა სრული ჭეშმარიტება საქართველოს დემოკრატიის მეთაურმა ნ. ნ. ჟორდანიამ.

## ნინო ჩხეიძე

ნინო ჩხეიძე! რამდენი მოგონება, რამდენი სულიერი განცდა, რამდენი ჭეშმარიტი ესტეტიური სიტკბოებაა შეერთებული ამ სახელთან! არა მგონია იყოს ისეთი ქართველი, რომელსაც ქონოდა ბედნიერი შემთხვევა დამტკბარიყო ნინო ჩხეიძის მომჯადოებელი თამაშით, თუნდაც ერთხელ თავის სიცოცხლეში, და მას მარადის იდუმალათ არ ესმოდეს მისი უნაზესი და მოაღერსე ტემბრით შევსებული ხმა.

ნინო ჩხეიძე ეკუთვნის ჩვენ ხელოვან მსახიობთა იმ მცირე ჯგუფს, რომელმაც შექმნა ქართული თეტრი. ეს ხომ მაშინ იყო უძნელესი, საგმირო საქმე. დღეს ადვილია აქტიორობა, როდესაც ტრადიცია არის თეატრისა. მაშინ, ამ ოცი—ოცდაათი წლის წინათ ხომ სიზიფის შრომა იყო მსახიობისთვის გზის გაკაფვა. ნინო ჩხეიძისთანა ღვთიურ ნიჭით დაჯილდოვებულმა მსახიობებმა ეს შესძლეს და ახალთაობას თეატრი დაუფუძნეს.

მერე და რას ნიშნავდა, რა როლს თამაშობდა თეატრი ჩვენი დამონებული, პატარა ერის ცხოვრებაში? ყველაფერს. ჩვენი თეატრი ამ უკანასკნელ წლებში დაკნინდა და დასნეულდა, მაგრამ, ჩვენდა სასირცხვილოთ, დღეს არავინ ლაპარაკობს, თორემ ქართულმა თეატრმა ჩვენ ცხოვრებაში ითამაშა უდიდესი როლი, ის იყო უძლიერესი ფაქტორი ეროვნულ კულტურის წინსვლისა. ეს ბევრს არც კი აქვს შეგნებული.

ჩვენი თეატრის აყვავების ხანა ეს იყო ხანა სახელოვან ჟურნალის „კვალის" მოღვაწეობის, მისი იდეური გეგემონიისა. ეს იყო დრო, როდესაც ჩვენი დემოკრატია ილვიძებდა. მან „კვალის" ხელმძღვანელობით პირველათ დაეწაფა ევროპიულ კულტურას. მანვე ნიადაგი გაუმზადა ჩვენი თეატრის აღორძინებასა. ჩვენი ნორჩი დემოკრატიისთვის თეატრი შეიქნა მის კულტურულ ცხოვრების ერთი უდიდეს ფაქტორთაგანი. აქ ესმოდა მას ცოცხალი ქართული ენა, აქ ეცნობოდა ის დრამატიულ ლიტერატურას, თეატრი იყო ადგილი, სადაც ჩვენი დემოკრატიული ინტელიგენცია თავს იყრიდა.

გაიხსენეთ ქუთაისში 1898—1903 წ.წ. სეზონები. რა გატაცება იყო! ყოველ ოჯახში, ყველა ჯგუფებში იყო გაცხოველებული მსჯელობა ქართულ თეატრზე, პიესებზე, მსახიობის თამაშზე. როგორ გატაცებული იყო მოსწავლე ახალგაზრდობა! ნინო ჩხეიძე და ვლ. მესხიშვილი—აი მიზეზი მაშინდელი სიცხოველისა, კერპები მაშინდელი ახალგაზრდობისა! იყო სიყვარული, სიყვარული უშველებელი, ახალგაზდური გატაცება თეატრით.

ასეთი სიყვარული თეატრისადმი შეეძლო შეექმნა ნინო ჩხეიძისთანა დიდ ხელოვან ადამიანებს. რა ბედნიერებაა, რა დიადი საქმეა ოცდახუთი წლის განმავლობაში ატკბო ერი ხელოვნური ცხოვრებით, აღვივო მასში კეთილშობილური გრძნობები!

ასეთია ნინო ჩხეიძე ჩვენთვის. დღეს მისი ოცდახუთი წლის ზეიმია. რა არის მისი პიროვნებისათვის რამდენიმე საათის განმავლობაში საიუბილეო დღესასწაულობა, ამ დღესასწაულზე ყველა ქართველის დასწრება, რას ნიშნავს ნინო ჩხეიძისთვის ამ დღეს ტაშით დაჯილდოვება—ის ხომ ამას ჩვეულია!—არა, მას ესაჭიროება უფრო მეტი.

დეე, ამ ძვირფასი ადამიანის იუბილეს დღე დარჩეს დღეთ ჩვენი დაავადებულ თეატრისადმი ინტერესის გაღვიძებისა. ნინო ჩხეიძემ მაინც მოგვაგონოს, რომ გვქონდა თეატრი, გვყავდა სახელოვანი მსახიობები, რომ ვიმოქმედოთ ამ თეატრის აღორძინების მიმართულებით.

აი, ეს იქნებოდა ნინოს ღვაწლის საუკეთესო დაფასება.

## არჩევნები ბელგიაში

ფრანგულ გაზეთების ცნობით საარჩევნო კომპანიას ბელგიაში მეტად სასტიკი ხასიათი მიუღია. განსაკუთრებით ცუდ პირობებში აწარმოებდა ბრძოლას სოციალისტური პარტია. გერმანიის ოკუპაციის შემდეგ წარმოება ამ პატარა, მაგრამ ეკონომიურად მეტად განვითარებულ სახელმწიფოში, მეტად დაეცა. ამან დაქსაქსა მუშების ორგანიზაცია და სოციალისტური მოძრაობა დაასუსტა მეორე მხრივ, ფეხი მოიკიდა ნაციონალისტურმა სულისკვეთებამ და ეს ფრთა მასასაც მოედო. არჩევნების დროს ლიბერალები და კონსერვატორები საჯაროთ სწამებდენ სოციალისტებს სამშობლოს ღალატს. განსაკუთრებით ებრძოდენ ძველი ინტერნაციონალის ყოფილ მდივანს ჰიუსმანს, რომელსაც ომის დროს მოლაპარაკება ჰქონდა გერმანიის სოციალისტურ პარტიის ზოგიერთ წევრებთან ომის შესაჩერებელ ზომების შესახებ.

მიუხედავად ყველა ამისა სოციალისტებმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს. ორჯერ მეტი დეპუტატები გაიყვანეს ახალ პარლამენტში. ლიბერალ-კონსერვატორებმა ბევრი ადგილები დაკარგეს. ეტყობა, რომ ოცი წლის სოციალისტების მუშაობას უნაყოფოდ არ ჩაუვლია და ჩვეულებრივ ბურჟუაზიულ ცილისწამებას სოციალისტების მიმართ გზა-კვალი არ აუბნევია მშრომელი ნაწილისთვის. ამ ნაირად ძველი ინტერნაციონალის სატახტო ქალაქი ბრიუსელი დღესასწაულობს სოციალისტურ გამარჯვებას. უსურვებთ ბელგიის მუშათა პარტიის ერთსულოვან მუშაობას და მეტად მძიმე ეკონომიური პირობების მიუხედავად მომავალ საბოლოო გამარჯვებას. ბ. თეკლათელი.

## პრესა

„აშხატავორი" (№ 270) სწერს:

„საზავო კონფერენციის წევრნი ვერსალიდან წავიდნენ თავიანთ ქვეყნებში და ბევრი ისეთი საკითხები, როგორიცაა რუსეთის, ოსმალეთის და პატარა ერების პოლიტიკურ დამოუკიდებლობისა, დარჩნენ გადაუჭრელნი ან გადაიდვენ სხვა დროისთვის. ამისთანა პირობებში ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა წინაშე სდგება იმის საკითხი, თუ როგორ უზრუნველყონ თავიანთ თავისუფლების, საფინანსო და ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესობის საქმე საკუთარი ძალებით? ამ მხრით ცოტა რამ უკვე გაკეთებულა. თფილისში სომეხ-ქართველთა და ბაქოში სომხეთ-აძერბეიჯანის კონფერენციაა. არჩევენ, თუ როგორ მოაწესრიგო ურთიერთ შორის ის დამოკიდებულება და სადაო საკითხების მშვიდობიანი გზით გადაჭრა. სამწუხაროთ, ეს მუშაობა მიდის მეტათ მძიმე ნაბიჯით, დაყოვნება კი დიდათ აუარესებს ამ ქვეყნების საერთო და განსაკუთრებით ეკონომიურ მდგომარეობას. როგორ უნდა გამოვიყვანოთ ჩვენი ნორჩი რესპუბლიკები ამისთანა მძიმე მდგომარეობიდან? და ეს კი შესაძლებელი გახდება მხოლოდ მაშინ, როცა ამიერ-კავკასიის დემოკრატების ბელადები გაიგებენ მომენტის მთელ სერიოზულობას, ხელს აიღებენ ავანტიურისტულ „ორიენტაციებისაგან", ერთი გრძნობით აღიჭურვებიან, რომ უზრუნველყონ ჩვენი დამოუკიდებლობა და ააშორონ მშრომელ ხალხს შიმშილის და სიცივის აჩრდილი.

„უნდა ისიც შევიგნოთ, რომ სამი რესპუბლიკის თანხმობით მოქმედება აიძულებს დაინტერესებულ ქვეყნებს გამოარკვიონ თავიანთი პოზიცია ჩვენ მიმართ უფრო ადრე, ვიდრე ეს მოხდებოდა სხვა პირობებში.

„ხვალინდელმა დღემ შეიძლება მოგვიტანოს მძიმე მოულოდნელობანი. მაშ შევაერთოთ მთელი ჩვენი ძალები, რომ მსხვერპლი ან სათამაშო საგანი არ გავხდეთ მოულოდნელი მოვლენებისა".

როგორც მკითხველი ხედავს მხოლოდ ახლა სწერს და აკეთებს რამდენიმეთ დაშნაკცუტიუნის „აშხატავორი" იმას, რასაც ჩვენ თავიდანვე ვამბობდით და მოვუწოდებდით. ჩვენს დემოკრატიას სიხარულის მეტს, აბა, რას მოჰგვრის, თუ „აშხატავორის" ნათქვამი გულწრფელათ იქნება გატარებული ცხოვრებაში. დროა, დიდი ხანია დრო იყო შეეგნო „აშხატავორს", რომ ჩვენი ბედი ჩვენს ხელშია და მთელი მუშაობაც ამ მხრით უნდა დატრიალდეს...

## დამფუძნებელი კრება

19 დეკემბრის სხდომა.

თავმჯდომარეობს აღ. ლომთათიძე.

ივანე გომართელის მოხსენებით მიღებულ იქნა საბოლოო ტექსტი შემდეგი დეკრეტებისა: 1)—თუშების საზოგადოების (წოვისა, ჩაღმისა, პირიქითისა და გომეწარის) თიანეთის მაზრიდან თელავის მაზრაში გადარიცხვისა, 2)—დამფუძნებელი კრების კანცელარიის მოსამსახურეთათვის ჯამაგირის მომატებისა, 3) სახალხო განათლების სამინისტროს მიერ 1918—1919 წლებში გაღებულ ხარჯების დასაფარავათ ნახევარ მილიონ მანეთის გადადების შესახებ, 4) საქართველოს მუზეუმის და შენობის დასამთავრებლათ 5600000 მან. გადადების შესახებ. 5) აბასთუმანის კურორტის განადგურებულ შენობათა აღსადგენათ 611,705 მ. გადადების შესახებ, 6) რესპუბლიკის მცხოვრებთა შორის გასანაწილებელ სათესლეს შესაძენათ 5,000 000 მან. გადადების შესახებ, 7) ყარაიაზის არხის სათავესთან მტკვრის გასაწმენდათ 150,000 მან. გადადების შესახებ, 8) სასოფლო მეურნეობის მაზიანებელთა წინააღმდეგ მებრძოლ ბიუროს 1919—1920 წლ. დამატებითი ხარჯთ-აღრიცხვით 260,615 მან. გადადების შესახებ და საბოლოო ტექსტი კანონებისა: 1) ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის მინისტრის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ, 2) სახალხო გვარდიის შესახებ, 3) აფთიაქის პატრონთა და მოსამსახურეთა დანაშაულისათვის სასჯელის შეცვლის შესახებ.

ზ. გურულის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი სახალხო გვარდიის შესანახათ 20 მილიონი მან. გადადების შესახებ.

3. საყვარელიძის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი საქართველოს სხვადასხვა კულტურულ განმანათლებელ დაწესებულებათა ქონების გამდიდრების

# დღეს

საფრანგეთ ინგლისის თათბირი ოსმალეთის შესახებ ლონდონში გრძელდება.

რუსეთისა და ესტონეთის შორის საზავო მოლაპარაკება დეკემბრის 17 განახლდა. ბალშევიკების ცნობით, ზოგიერთ საკითხებში შეთანხმება მოხდა.

ბალშევიკების ცნობით ინგლისის პროფესიონალურ კავშირთა ყრილობა მოითხოვს, რომ მუშათა დელეგაციას, რომელიც ყრილობამ აირჩია საბჭოთა რუსეთის ყოფა ცხოვრების გასაგებათ, მთავრობამ პასპორტები მისცეს.

ინგლისს საფრანგეთის ნოტით ფიუმეს საკითხი ვილსონის წინადადების თანახმად უნდა გადაწყდეს.

ბერლინში განთავისუფლებულ ცნობილ ბალშევიკს რადეკს არც დანია, არც პოლონეთი ესტონეთში გასვლის უფლებას არ აძლევს.

გერმანული პრესის ცნობით პოლონელებისა და კროატელების უარის გამო ნეოსლავიანთა კავშირი დაიშალა. კრამარჟი მხარს უჭერს გერმანულ ავსტრიის გერმანიასთან დაახლოვებას.

პარიზში ხელ ახლა შემოიღეს პურისა და შაქრის ბარათები. განაწილება იმ ნორმით მოხდება, როგორც ომიანობის დროს იყო.

სამხედრო სამინისტრო უარყოფს გავრცელებულ ცნობას, თითქოს სამხედრო სამსახურის ვადა საფრანგეთის ჯარში 2 წლამდე შემცირებულიყოს.

და დამსახურებულ მოღვაწეთა დახმარების შესახებ. დეკრეტის ძალით სახელმწიფო ხაზინიდან გაღებულ უნდა იქნას ერთდროულათ ერთი მილიონი მანეთი, წინადადება უნდა მიეცეს განათლების და ფინანსთა უწყებებს შეთანხმებით შეიმუშავონ დეკრეტი გასართობ დაწესებულებებში შესავლელ ბილეთების დაბეგვრის შესახებ მუდმივი ფონდის შესაქმნელათ წარმოდგენილ დეკრეტში აღნიშნულ მიზნისათვის.

ქ. ნინიძის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი ყარაიაზის სარწყავი არხის შესაკეთებლათ 3,500,000 მან. გადადებისა და ამავე სისტემისათვის 400,000 მან. სათადარიგო თანხის დაარსების შესახებ. სხდომა დაიხურა 1 საათზე სოც-დემოკრატიული ფრაქციის წინადადებით, რათა დეპუტატებს საშუალება მისცემოდა ძმათა სასაფლაოზე სამოქალაქო პანაშვიდს დასწრებოდნენ.

# დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

20 დეკემბერი.

**ამერიკულ პრესის ცნობები.**

ინგლის-საფრანგეთის ნოტა ფიუმეს საკითხის შესახებ აღნიშნავს, რომ ფიუმეზე შეთანხმება უნდა იქნეს დადებული იმ პირობების მიხედვით, რომელნიც პრეზიდენტმა ვილსონმა წარმოადგინა;

ლონდონის გაზეთი „გერალდი" სწერს: „გამოირკვა, რომ ცენტრალურ ევროპაში სურსათი მხოლოდ ერთი თვის სამყოფია.

**მოხალისეთა ცნობები.**

ტაგაროგი 19 დეკ. ნოვოჩერკასკი (რიცხვი არ არის აღნიშნული) დონის ჯარის წინამძღოლმა, გენ. სიდორინმა, ფრონტის მდგომარეობის შესახებ განაცხადა, რომ ბალშევიკების შეტევა ვერარ გრძელდება იმ სიძლიერით, როგორც ეს პირველათ იყო. უკან დახევა ჩვენთვის მოულოდნელი არ არის, რადგან აუცილებელ გადაჯგუფებას დიდი დრო სჭირია, ყველი სტრატეგიულ და ადმინისტრატიულ ხასიათის ზომები, რომელნიც გვაქვს დასახული, სულ ცოტა ხანში ფრონტზე სათანადო გავლენას მოახდენს. ყოველგვარი ზომები იმის შესახებ, რომ ზურგს ფრონტთან ერთგვარი ცხოვრებით ეცხოვრა, არავითარ შედეგებს არ იძლევა. წითლები ბევრათ უფრო ცუდათ არიან ჩაცმულნი, ვიდრე ჩვენები.

**ბალშევიკური ცნობები.**

მოსკოვი. 19 დეკ. სამხედრო ცნობა. ნარვის სამხრეთით 3 ვერსზე ბრძოლა ჩვენს სასარგებლოთ სწარმოებს. სამხრეთით ჩვენი ჯარი მდ. ნაროვაზე გადავიდა და ნარვის სამხრეთ დასავლეთით 20 ვერსზე იბრძვის. ხელში ჩაგვივარდა 5 ტყვიისმფრქვეველი და სხვა სამხედრო ქონება. დასავლეთ დვინაზე დრისის და დვინსის რაიონში მზვერავები მოქმედებენ. მოზირის, ჟიტომირის და კიევის რაიონში მდგომარეობა არ შეცვლილა. კრემენჩუგის მიმართულებით ჩვენ ქ. ზოლოტი ავიღეთ. მირგოროდის სამხრეთ-აღმოსავლეთით 20 ვერსზე დაბა ბოგაჩკა ავიღეთ. პოლტავის რაიონში კონსტანტინოგრადის ჩრდილო-დასავლეთით 10—20 ვერსზე ჩვენ სოფლები ავიღეთ. ხარკოვის რაიონში ქ. ვალკის სამხრეთით 20 ვერსზე ჩვენი ჯარი მტერს ებრძვის.

ხარკოვის სამხრეთით ჩვენი შეტევა კარგად ვითარდება. კუპიანსკის სამხრეთით 20 ვერსზე და სამხრეთ-დასავლეთით 40 ვერსზე ჩვენ სოფლები ავიღეთ. ჩვენმა ჯარმა სადგური კუპავკა აიღო. ბოგუჩარის რაიონში ჯარმა მიგულინსკაია აიღო და ამ სადგურის სამხრეთით და სამხრეთ დასავლეთით 15—20 ვერსზე მდ. ტიხაიას ხაზზე გამოვიდა. სოფ. მეშკოვსკში ხელში ჩავიგდეთ მტრის საწყობები. მდ. ტიხაიასა და სოპრს შორის ზოგიერთ ადგილას ჩვენი ჯარი დონის სამხრეთ ნაპირზე გადავიდა. აღმოსავლეთის ფრონტი. ვერიევის ტრაქტზე ავიღეთ კალმიკოვკა და კრასნოიარსკის ფორპოსტი, ს. მიპალოტონსკის რაიონში ჩვენი შეტევა ვითარდება. ბიისკენ წინსვლა გრძელდება. 17 დეკ. საღამოს ჩვენმა ჯარმა ტომსკის სამხრეთ-დასავლეთით 100 ვერსზე სადგ. ბოლოტნაია აიღო.

მოსკოვი. 19 დეკემბერი. „პრავდის" მოწინავე ეხება ლოიდ-ჯორჯის პალატაში განცხადებას იმის შესახებ, რომ „ბალშევიკები", როგორმე უნდა შეუთანხმდენ დენიკინსა და კოლჩაკს". გაზეთის აზრით შეიძლება მხოლოდ ერთი შეთანხმება ეს იქნება: დენიკინისა და კოლჩაკის სრული განადგურება.

მოსკოვი. დეკ. 18, 17 დეკემბერს, იურიევის საზავო კონფერენცია ხელახლა შეუდგა რუსეთისა და ესტონეთს შორის საზღვრების საკითხის გამორკვევას. ჩვენი მხრით ამ საკითხში ბევრი რამ დავსთმეთ. ესტონეთის მთავრობამ გარანტია მოგვცა იმისა, რომ არც რომელიმე ჯარს, რომელიც ესტონეთის ტერიტორიაზე იქნება, არც რომელიმე ჯგუფს და ორგანიზაციას, რომელსაც საბჭოთა რუსეთთან ბრძოლა ექნება მიზნათ დასახული, იგი არ მისცემს თავისუფალ მოქმედების საშუალებას. იგი თანახმაა ამ გარანტიათა განსახორციელებლად დაარსებულ იქნეს ესტონეთში საკანტროლო ორგანო. ესტონეთის დელეგაციამ მოითხოვა დროებით სხდომების შეწყვეტა საზღვრების საკითხის შესახებ თავის მთავრობასთან მოსალაპარაკებლათ. 11-დან 16 დეკემბრამდე საზავო კონფერენცია საეკონომიო საკითხების შესახებ მუშაობდა. ჩვენი დელეგაცია მოითხოვს კითხვების ყველა დეტალების გამორკვევა მიენდოს განსაკუთრებულ კომისიებს მას შემდეგ, როდესაც უმთავრესი ხელშეკრულება დაიდება.

ლიონი. დეკ. 18. პარიზში ხელახლა შემოიღეს პურისა და შაქრის ბარათები. განაწილება იმ ნორმით მოხდება, როგორც ომიანობის დროს იყო.

ნაუენი, დეკ. 18. ამერიკის კონგრესში წინადადება შეიტანეს ირლანდიის რესპუბლიკასთან ოფიციალური ამერიკის დიპლომატიური წარმომადგენლობა დაარსონ. ამ წინადადების განხორციელება ირლანდიის დამოუკიდებლობისაკენ ლტოლვის ცნობა იქნებოდა.

ლიონი, დეკ. 18. ბარსელონასა და მადრიდში დიდი შეტაკებანი მოხდა. ბარსელონაში მოკლულია 8 კაცი მადრიდში ტრამვაის მოსამსახურეთა გაფიცვაა. გაფიცულები ქალაქს დანარჩენ მოსამსახურეებს დასახმარებლად იწვევენ. გაფიცულთა და პოლიციელთა შორის შეიარაღებული შეტაკებანი მოხდა. დაიჭირეს მრავალი პირი.

ჰელსინგფორსი. დეკ. 16. ლონდონში გაიხსნა პროფ. კავშირების ყრილობა, რომელსაც დაესწრო 750 რწმუნებული 5 მილიონ შეკავშირებულ მუშების წარმომადგენელი. მემაღაროვეთა წინამძღოლმა სმაილსმა მუშებს მოუწოდა პირდაპირი მოქმედებისაკენ, რათა აიძულონ მთავრობა, რომ მან მაღაროების ნაციონალიზაცია მოახდინოს. ერთხმად გადასწყვიტეს, მოკლე დროში მოიწვიონ საგანგებო ყრილობა, რომელმაც უნდა გადასწყვიტოს, თუ როგორ აიძულონ მთავრობა მაღაროების ნაციონალიზაციაზე. ერთხმად მიიღეს რეზოლიუცია, რომლითაც ითხოვენ, რომ მუშათა დელეგაციის, პარლამენტის კომიტეტის წევრებს, რომელნიც ყრილობამ ამოირჩია საბჭოთა რუსეთის ყოფა-ცხოვრების გასაგებათ, მთავრობამ პასპორტები მისცეს.

ვიტებსკი. დეკ. 18. ვარშავის გაზეთებში გვამცნობენ მოკავშირეთა აზრის შეცვლას რუსეთის საკითხის შესახებ. მოკავშირეთა სახელმწიფოებში განხეთქილება იზადება. ამერიკა ხშირად ითხოვს საბჭოთა რუსეთიდან ბლოკადის მოხსნასა და ბალშევიკებთან ეკონომიურ შეთანხმებას.

ვიტებსკი. დეკ. 18. პოლონეთში უმუშევრობა და შიმშილი დღითი-დღე იზრდება. მარტო ვარშავაში 90,000 უმუშევარია; მათი მდგომარეობა პირდაპირ აუტანელია. მთავრობამ ყველა საზოგადო სამუშაოები შეამცირა. მთავრობის ბრძოლა უმუშევრობასთან, მუშათა საფრანგეთში გადასახლების სახით, დიდ მღელვარებას იწვევს.

**ფრანგული პრესის ცნობები.**

16 დეკემბერს ბავარიის ლანდტაგმა, რომელიც მიუნხენში შესდგა, ცოტა ხნის კამათის შემდეგ მიიღო კანონპროექტი პალატინას ადმინისტრატიული ავტონომიის შესახებ.

საგარეო საქმეთა დირექტორი ბერტელო კვირა დილით პარიზიდან ლონდონში წავა, სადაც ის განაგრძობს კლემანსოს მიერ ლორდ კარზონთან დაწყებულ თათბირს ოსმალეთის საკითხის შესახებ.

ბიულეტენი კლემენსოს ჯანმრთელობის შესახებ: საღამოთი ავათმყოფის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

„ჟურნალს" მოყავს გერმანიის კონტრ-წინადადება სკაპა-ფლოში ჩაძირულ ფლოტის კომპენსაციების შესახებ: ხუთი მჩატე კრეისერის მაგიერ, რომელსაც მოკავშირეები მოითხოვენ უფრო მეტი გემები... (დამახინჯებულია) მეორე მხრით მრავალრიცხოვანი საბუთები, რომელიც გერმანიამ წარადგინა, აღნიშნავს დოკების მასალის მოტანის სიძნელეს, რომლიდანაც ის მზათ არის მოკავშირეებს 180,000 ტონი გადასცეს, ამას მიუმატოთ კიდევ 50.000 ტონი ასაშენებელი მასალა, რომელიც მოკავშირეებმა თავისი სურვილით უნდა აირჩიონ. „მატენ"-ის ცნობით, მოკავშირეები გერმანიის კონტრ-წინადადებებს 200,000 ტონის დაკლების შესახებ, უთუოდ მიიღებენ იმ პირობით, რომ ეს 200,000 ტონი რაც შეიძლება სხვა მეტი მასალით იქნეს შეცვლილი.

სტრასბურგიდან მოსული კორესპონდენცია გვაცნობებს ელზას-ლორენის დანგრეულ ოლქების აღმშენლობით მუშაობის შესახებ. ელზასში სამი-მეხუთედი სათესი მიწისა უკვე დამუშავებულია, ლორენში მიწის დამუშავება უკვე დასრულდა.

საბჭოთა პრეზიდენტმა გამოაქვეყნა შემდეგი: დილის გაზეთებში დაიბეჭდა კანონ-პროექტის ტექსტი სამხედრო სამსახურის ვადის შესახებ, რომელიც განისაზღვრება 2 წლით. არავითარი კანონ-პროექტი ამ საკითხის შესახებ მთავარ სამხედრო შტაბს არ შეუდგენია.

**გერმანული პრესის ცნობები**

ვენის პრესის აზრი მოკავშირეთა ნოტაზე გერმანულ ავსტრიის ტერიტორიალურ დამოუკიდებლობის შესახებ განსაკუთრებით ნათლათ გამოიხატა „ნეიე ფრეიე პრესში", რომელიც ამბობს: „ნოტა აცხადებს, რომ ჩვენ საშუალო ევროპის თანასწორობით დასაცავად უნდა ვიარსებოთ, მაგრამ იგი ჩვენ არ გვაძლევს იმას, რაც არსებობისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს.

სახელოსნო მქრის წარმომადგენლებმა დაადგინეს გერმანულ ავსტრიისათვის საჩქაროდ შეკრიბონ ფული.

„პესტერ-ლოიდ"-ის ცნობით ჩეხო სლოვაკთა პრეზიდენტმა მასარიკმა აუწყა ჩეხის პარტიის ლიდერებს, რომ პოლონელებისა და კროატელების უარის გამო ნეოსლავიანთა კავშირი დაიშალა. კრამარჟმა განაცხადა, რომ ის გერმანულ-ავსტრიის და გერმანიის დაახლოვების იდეას მხარს უჭერს. სხვადასხვა პარტიებსაც ურჩევს მხარი დაუჭირონ მხოლოდ ამ პოლიტიკას.

დასავლეთ-რუსეთის ჯარის სარდალი თავადი ავალოვ-ბერმონტი, რომელიც თავის 7 ათასი კაცით დაკავებული იყო ნეისეში და ალტენგრაბოვში ადგილობრივ მთავრობის ნებართვით რამდენიმე დღით ბერლინში მოვიდა, რათა რუსეთის ჯარის შესახებ მოლაპარაკება გამართოს. იგი მიიღო სამხედრო მინისტრმა, განსაზღვრული გადაწყვეტილება ავალოვის და მისი ჯარის მომავლის შესახებ ჯერ კიდევ არ მიუღიათ. აიკრძალა ეგრეთ წოდებულ ბალტიის ფულები, რომელიც ბერლინში იყო დაბეჭდილი და დღეს არავითარი ფასი არა აქვს.

გერმანელ მცხოვრებთა ავსტრიელებისადმი შეწირულება, რომელიც კვირაში თვითეულ კაცის მიერ 50 გრამ ფქვილზე უარის თქმაში გამოიხატება და რომელიც ერთი თვით იყო დადგენილი, კვლავ გააგრძელეს. ასე რომ, ავსტრია ყოველ კვირაში 200,000 ტონ ფქვილს მიიღებს.

ტყვეობიდან განთავისუფლებული რადეკი ჯერ ისევ ბერლინშია, იმის გამო რომ არც დანია და არც პოლონეთი ესტლანდიაში გასვლის ნებართვას არ აძლევს.

ბერლინში უკრაინის იმფორმაციულ ბიურო ვარშავიდან აუწყებენ დენიკინს და პოლონელებს შორის მომხდარი შეთანხმების შესახებ.

რომის გაზეთი „ტემპო" სწერს: დროა, რომ მოკავშირეებმა საჯაროთ გამოსთქვან თავისი აზრი უკრაინის ავტონომიის შესახებ და პეტლიურის რესპუბლიკას არ მისცენ საბაბი იფიქროს, რომ ჩეხო-სლოვაკია, სამხრეთ-სლავია, პოლონეთი და რუმინია მშვიდობიანათ ისარგებლებს თავისი დამოუკიდებლობით იმ დროს, როდესაც რუსეთისათვის უცხო ხალხს როგორც ლატიშებს, ლიტოველებს, ბელორუსებს, უკრაინელებს და ქართველებს, რომელთაც აქვთ განსაზღვრული ტერიტორიალური და ეტნოგრაფიული ერთეული არა აქვთ უფლება ისარგებლონ დამოუკიდებლობით და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ პარიზში ზოგიერთები ოცნებობენ ძველი რუსეთის სახელმწიფოს აღდგენაზე.

# ნინო ჩხეიძეს

**1894—1919**

ჟამსა მწუხრისას შენს სამშობლოს, შენებრ მშვენიერს,
შენ მოევლინე ხელოვნების ღვთიურ ქურუმად;
შენ ლაღადებდი, ლოცულობდი მხურვალე ლოცვით
და ერი შენი სასოებით გისმენდა ჩუმად.

შენ აღამაღლე ძეთა შენთა უძლური სული,
თვით ურწმუნოთაც შეაყვარე შენი ტაძარი;
შენ აღადგინე ერი შენი, ერი ტანჯული,
ღუღუნი შენი იყო ქვეყნის აღდგომის ზარი.

აღსდგა ივერი და გაისმა ჰიმნი სალხინო,
შენს დასადაფნად გვირგვინსა სწნავს, ერის გვირგვინო!
ხალხი ზეიმობს, ხალხი ხარობს, ხალხი ნეტარობს!—
ბედნიერი ხარ, ბედნიერი, ძვირფასო ნინო!

გ. ქუჩიშვილი.

**ნუცას თაიგულისთვის**

დღეს ხელოვნების მზის დღეა, დღეს ქართული ხელოვნებას ამაყათ უჭირავს თავი და მის სახეზე ნაზ ჰპლებათ ღიმი იფურქვევა... მისი საუნჯე გვერდით ყავს და მადლიერად ხალხი სიყვარულის ვარდებით უფენს გზას. ბევრ რასმეს იტყვიან დღეს ამ სიამაყეზე, მრავალი კეთილშობილი აღგზნება შემოევლება მას ნაზათ. დღეს ყველა გაიგებს, [რომ ჩვენც გვყავს სარაბერნარი, კომისარჟევსკის ქალი... ამიტომ უჭირავს არა ჩვეულის სიამაყით თავი დღეს ქართველ თეატრს, აქამდე რომ ასე მიტოვებული და დავიწყებული ძველ სატრფოს გავდა. და ეს დავიწყებული სატრფო დღეს ირთვება ძვირფასის სამკაულით, საიდუმლოთ რომ ქონდა დაცული, დღეს ამჟღავნებს თავის სიმდიდრეს, იგონებს წარსულს და სინანულით, პატიებას ითხოვს თეატრისადმი გულგრილობის გამო. და დღეს იგი ბევრს ამბობს ამ სამკაულზე...

მე მინდა ამ საზეიმო ხმებში ყველაზე მძლავრათ სცემდეს ქართველი ქალის ხმა; იმ მადლობის თაიგულის შუა, დიდი ვარდი იყოს ქართველ ქალისაგან ჩართული.

ნუცამ ბევრი გრძნობა დაფერფლა მათთვის, ბევრჯერ დასჭიმა ნერვების სიმები და ინტიმურ ზღვათა ფსკერიდან ამოზიდა საამო ხმები, ქალის ღირსება, მისდამი სიყვარული მან უმაღლეს საფეხურზე აიტანა და ის გულქვა ხალხი, ქალში ადამიანს რომ არ ხედავდა, მოწიწებით იხრიდა ქედს მის ბინაზე და მათ გულში ნათელ სვეტათ ჩაეშვათ ქალის ღირსება და სიყვარული.

ყოველდღიურობით, ვიწრო ბურჟუაზიულ ზღუდეებით აცრემლებული, უპიროვნო ქალი, ქალი მორჩილი მონა და ჩუმათ მკვნესარი მიდიოდა სცენასთან და იქ ჰპოებდა ახალ ძალას, ბრძოლის წადილს; მასში ღრმათ ილვიძებდა მიმქრალი ძალა და იგი განიცდიდა პიროვნების, ადამიანის ღირსებას, მის წინ იშლებოდა მთელი გალერია შერავანდედით მოსილ ქალთა, რომელთაც შეეძლოთ უსაზღვრო სიყვარული, ბრძოლა და თავგანწირვა: ოჯახის სიწმინდისთვის, კაცობრიობისათვის და დედაკაცის განთავისუფლებისათვის. და მრავალ სიმებს სწვდებოდა მადლიანი ხელი ნუცასი, მრავალ გრძნობებს ამხელდა კეთილშობილ ცრემლებში ამობანილი ხავერდის ხმა... ჩვენ მისგან ვგრძნობდით ახალი ცხოვრება განახლებულ ქალისა და იმედიანათ, საამაყოთ გავსწიეთ ამ გზით. ბევრი რამ აბრკოლებდა ჩვენს სვლას: რუტინა, ბნელი ტრადიცია, უკულტურობა, მწარე ირონია ბურჟუაზიულ მცნების მატარებელ მამაკაცთა, მაგრამ ჩვენ გვყავდა ძვირფასი დედა სიყვარულისა, უშრეტი წყარო მაღალ გრძნობათა და არაფერი გვაშინებდა ნუცას ხელოვნების ახლოს. ჩვენ შევიყვარეთ ახალი სიტყვა იბსენის ნორასი, რომელიც მთლიანი პიროვნებით შერჩა ბოლომდე ცხოვრებას, რომელმაც დაგმო მეშჩანური მორალი, დასტოვა ყოველივე და თავისუფალი გაყვა განახლების და კეთილშობილების გზას. საყვარელ, ობოლ „ძია ვანოსთან" ჩვენ ვღვრიდით სიყვარულის და თანაგრძნობის ცრემლებს და ვიმედოვნებდით, რომ ალმასებით მოჭედილ ცას ვიხილავდით და ანგელოზებს მოვისმენდით, ვნუგეშობდით, რომ მრავალ წლით შემდეგ ხალხი თავისუფალი და ბედნიერი იქნებოდა. ხან აღგზნებული უსაზღვროთ ზუდერმანის მაგდასთან ერთად, გავიძახოდით, რომ ცხოვრების მიზანი, ღმერთი, ხელოვნებაა!.. ხან ზეინაბთან ერთად ტანჯვაში ვატარებდით სამშობლოს განთავისუფლების იმედს და გმირულად ვიტანდით დესპოტის მახვილს, გმირულად ვსწირავდით ერთადერთს შვილს ხალხისთვის!

და აქედან დაიწყო ამაყობა და სიყვარულით თავდადება ქართველმა ქალმა. ჯერ ბევრი გზაა გასავლელი და მრავლათ ფენია ეკალი ამ გზაზე, მაგრამ პიროვნების შეგნება და წმინდა სიყვარული გადათელავს ამ გზას. დღეს ერი განთავისუფლებულია, მთელი ჩვენი ხალხი ფხიზლობს და ახალ ცხოვრებას ქმნის, რომლის წიაღში ქალიც ასეთივე ძლიერი და თავისუფალი პიროვნება უნდა შეიქნეს. ჩვენ სინამდვილეში ვჰედთ, რასაც ვეტრფით. და წუთით ვსწყვეტთ შრომას, რათა მადლობის თაიგული მივუძღვნათ ჩვენი აღორძინების მერცხალს—ნუცას,—ჩვენს სიამაყეს—ქართველ ხელოვნებას ქალი რომ ღირსებით შემოსა პირველათ. და ყველა თქმაში ჩვენ გვწამს, რომ ნუცას გულთან ქართველ ქალის თქმა უფრო ახლო იქნება, იმიტომ რომ ეს იყო მისი სტიქიონ მუდამ, ამან აანთო მისი გრძნობა და დღემდის ფერმკრთალ სახეზე ატმის ყვავილებს გარდაშლის და დიდის შრომით მოღლილ თვალებს ნაპერწკლებით აუშუქებს. ასეთია ჩვენი სიყვარული.

თამარ გოგოლაშვილი.

**ნ უ ც ა ჩ ხ ე ი ძ ე**

დღეს მადლიერი თფილისი დღესასწაულს უმართავს საყვარელ მსახიობ ქალს აქ დღეს ბევრი გულწრფელი სიტყვები ითქმის, ბევრი წერილები დაიწერება დიდი არტისტი ქალის დასახასიათებლათ. მეც ავიღე კალამი ხელში, მაგრამ არა ნუცას სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავათ, არამედ—მსურს ორიოდე სიტყვა ვსთქვა მასზე, როგორც ქალზე. მე მაინტერესებს ნუცა, როგორც ქალი, როგორც დედა, ოჯახის პატრონი, ერთ და იმავე დროს საზოგადო მოღვაწეობასთან.

ჯერ კიდევ ფართოთაა გავრცელებული (და არა მარტო ჩვენში) ის აზრი, რომ ადამიანს არ შეუძლია ერთ და იმავე დროს იყოს საზოგადო მოღვაწეც და ოჯახის პატრონიც. საზოგადო მოღვაწეს უმისოდაც ბევრი საზრუნავი აქვს, რომ ოჯახის ზრუნვაც თავს არ დაიტეხოსო, ჭკვიანი კაცი ამას არ იზამსო, და სიბრძნეთ თვლიან იმ საზოგადო მოღვაწეთა საქციელს, რომელნიც ამას ერიდებიან. ესაა საზოგადოთ ადამიანზე, ხოლო ქალზე კიდევ უფრო ამახინჯებენ ამ აზრს. თუ ქალს სურს საზოგადო ასპარეზზე შრომა და ხალხის სამსახური, ოჯახი კი არა, ქალური თვისებებიც უნდა დაუტევოსო.

და მართლაც, ხშირათ ვნახავთ მოღვაწე ქალს, რომელსაც ქალური მარტო ისლა აქვს, რომ კაბა აცვია. ქალური სინაზე და სათნოება ადარსადაა; დედობრივი სიყვარული, კეთილშობილური მისწრაფება შვილისადმი სიყვარულისა, სადღაც გამქრალა; მომკვდარა მასში დიასახლისი, მომკვდარა სიყვარული ოჯახისადმი. ზოგ მათგანს ქმარი ყავს, მაგრამ ოჯახი მაინც არ შეუქმნია, შვილებიც არ უნდა...

ტოლსტოი ცამდე მართალი იყო, როცა ამ მოვლენის შესახებ ილაშქრებდა და ამტკიცებდა, რომ საზოგადო მოღვაწეობა არ უარყოფს ოჯახს, არ უარყოფს კერძო ბედნიერებას, რომ შესაძლებელი და ფრიად სასურველია ორივე მოვლენის შეერთებაო; რომ კერძო ბედნიერება, კეთილი ოჯახი, ხელს კი არ უშლის საზოგადო ასპარეზზე მუშაობას, პირიქით, ხელს უწყობსო და სხვა.

ამ აზრის დასამტკიცებლათ ისტორია ბევრ მაგალითს იძლევა. საკმარისია თვით მარქსის ბიოგრაფია წავიკითხოთ, რომ ამაში დავრწმუნდეთ.

ცოცხალი დამტკიცებაა ამ აზრის დღევანდელი იუბილიარი,—ჩვენი ნუცაც.

მე არ მაქვს ბედნიერება ახლოს ვიცნობდე ნუცას ოჯახს, მაგრამ საკმაოა შევხედე მათ, როცა თავის ბავშვები თეატრში მოყავთ რეპეტიციის დროს, რომ იგრძნოთ სითბო ღვთიური. ნუცამ შესძლო ერთდაიმავე დროს ყოფილიყო დიდი არტისტი, მუდმივი, დაუსვენებელი მუშაკი სცენისა და კარგი დიასახლისი, მოსიყვარულე მშობელი და აღმზრდელი დედა. ჩემი აზრით ნუცამ გაასწორა კიდეც ილიას ოცნებას: მისი იდეალური დედა საზოგადო მოღვაწეთ უნდა ამზადებდეს შვილებს, ნუცა კი ამავე დროს თითონაც დიდი მოღვაწეა და, მაშასადამე, დიდი მაგალითი თავისი და სხვისი შვილებისა.

ამას უნდა დავუმატოთ ისიც, რომ ამ იდეალურმა მოღვაწე—დედა-დიასახლისმა შეინარჩუნა არა მარტო ქალური სინაზე და სათნოება, ნუცამ თვით ჩვენი სცენის [illegible] გაზრდა ქალები და მით მიიზიდა ისინი სცენისაკენ.

აი ამიტომ, მე ნუცას კი არა, ქართველ ქალებს ვულოცავ ამ სამაგალითო ქალის დღესასწაულს და ვუსურვებ ლეგიონები გამოსულიყოს მათი წრიდან ნუცასთანა ქალები, რომ ჩვენს საზოგადოებრივ ასპარეზზე ყველა დარგს ყოლოდეს ბლომათ ასეთი დიდ ბუნებოვანი ადამიანები. ზ. დათიაშვილი.

**ქ. ნინო ჩხეიძეს**

პატარა ვიყავი... ქუთაისში მე ის ვიხილე... პაწია იყო, კუკნა გოგონა... ვინ იფიქრებდა ან ვის ეგონა, თუ იქნებოდა ჩვენი სცენის ის მელპომენა... მშობლიურ სცენას ანაცვალა მან ყოველივე; დასთმო პირადი ფუფუნება, შვება, განცხრომა. მთელ საუკუნის მეოთხედი სცენას ეტრფოდა და გახდა სცენის ქურუმი ქალი, მაგრამ ამავ დროს არ დაივიწყა ქალის სხვა როლი უფრო მაღალი და საპატიო: ის არის დედა, უმწიკვლო დედა-სამშობლოს უზრდის ამულის შვილებს—(დღევანდელი მედეა გვიზრდის ნამდვილ მედეას) სცენამ ვერ ჩაჰკლა მასში ეს გრძნობა.

და მე მოხუცი მემატიანე, მადლობის გრძნობით ვიგონებ კუკნას, კოხტა გოგონას, ცქრიალა ნინას—ჩვენს მელპომენას და მოკრძალებით, რიდით და თრთოლვით, ვით ქრისტიანე წმინდა ღვთაებას, ვესტრები [illegible] კურთხეულ იყოს დიდის ხსენება, ვინც უანდერძა მას სიყვარული და მისცა გული, ნამდვილი გული, გული, რომელსაც თანაბრად უყვარს თავის შვილები—სხვათა შვილები.

ია. წულაძე.

# ახალი ამბები

ძმათა სასაფლაოზე 19 დეკემბერს გადახდილ იქნა წლის პანაშვიდი სოფ. ეკატერინოფელდთან 1918 წ. 19 დეკემბერს დაღუპულ გვარდიელთა მოსაგონებლათ. საფლავები ყვავილთა გვირგვინებით და დროშებით იყო შემკობილი. დაესწრნენ: სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის მთელი შემადგენლობა. მთავრობის წევრები: ე. გეგეჭკორი, ნ. რამიშვილი, ნ. ხომერიკი. დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი, მთავრობის თავმჯდომარე, ფრაქციათა წარმომადგენელნი, ქალაქის თვითმართველობის წარმომადგენელნი, გვარდიის ნაწილები, გვარდიის არტილერია და საგანგებო ბატალიონი ორკესტრებით. სიტყვები წარმოსთქვეს: დამფ. კრების თავმჯდ. ამხანაგმა ალ. ლომთათიძემ, შ ნ. საქ. მინისტრმა ნ. რამიშვილმა, ვ. ჯუღელმა, გრ. გიორგაძემ, ი. ავშტროვმა, უკრაინის მისიის წარმომადგენელმა. მოხუცმა გვარდიელმა გუნიაშვილმა და ვლასა მგელაძემ. მუსიკამ შეასრულა სამგლოვიარო რევოლიუციონური მარში, მუშათა ხორომ—რევოლიუციონური სიმღერა. საზოგადოება დაიშალა სად. 5 საათზე.

◆ **თამბაქოს ქარხნების დათვალიერებისათვის.** ვაჭრობა მრეწველობის დეპარტამენტმა წინადადებით მიმართა შინაგან საქმეთა და შრომის სამინისტროთ, შესდგეს საგანგებო კომისია, რომელიც დაათვალიერებს თამბაქოს ყველა ქარხნებს (თფილისში) და გამოარკვიოს თუ რამდენათ მოელის მათ საფრთხე ცეცხლის მხრივ, აგრეთვე კომისიამ უნდა დაათვალიეროს დამწვარი ქარხნები და გამოარკვიოს რამდენ ხანში შეიძლება მათი მოქმედების განახლება.

◆ **სავაჭრო სამრეწველო პალატაში.** ინჟ. ბოგატინმა და ამხ. დაარსეს თფილისში სათამაშოების ფაბრიკა. თანახმად ბოგატინის თხოვნისა, სავაჭრო-სამრეწველო პალატის კომიტეტმა სათანადო შუამდგომლობა აღძრა, რათა მას მიეცეს უფლება სათამაშოების გატანისა უცხოეთში.

ავჭალის მინის ქარხანამ გამოიწერა რუსეთიდან 65 სპეციალისტი მუშა და მუშაობა განაახლა, მაგრამ მალე 30 მუშა ბაქოში გადავიდა, რადგანაც იქ გაცილებით მეტ ჯამაგირს აძლევენ. დანარჩენი მუშებიც აპირებენ წასვლას. სავაჭრო პალატის კომიტეტმა სთხოვა შრომის მინისტრს სათანადო ზომების მიღება, წინააღმდეგ შემთხვევაში შეჩერდება მინის უკანასკნელი ქარხანა საქართველოში.

◆ **ხეთა ზუგდიდის რკინის-გზა.** გზათა და საბიუჯეტო-საფინანსო კომისიაში ირჩევა და ამ მოკლე ხანში დამფუძნებელ კრებას წარედგინება გზათა მინისტრის პროექტი დეკრეტისა ხეთა-ზუგდიდის რკინის-გზის [illegible] დასამთავრებლათ 7,315,000 მან. გადადების შესახებ.

◆ **სიღნაღის სამაზრო ერობამ** შუამდგომლობა აღძრა შინ. საქ. სამინისტროს წინაშე, 11 ივლისის კანონის ძა-

...ით ჩამოართვან ერობის საჭიროებისათვის 3 სახლი: სიმ. ოთაროვისა, ალ. ამირხანოვისა და ნიკ. ფარსადანოვისა. სამინისტრო ამ შუამდგომლობის შესახებ ამ დღეებში მოხსენებით შევა მთავრობაში.

✦ **ფოსტა ტელეგრაფის და ტელეფონის** სამმართველო ახლო მომავალში გამოსცემს თფილისის, ქუთაისის, ფოთის და რესპუბლიკის სხვა სატელეფონო ქსელების აბონენტთა საერთო სიას. ამის გამო აბონენტებმა 25 დეკ. უნდა განაცხადონ ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოში მომავალ წელში ტელეფონით სარგებლობის ფულების შესახებ.

✦ **უცხოეთში მიმავალ სტუდენტების საყურადღებოთ.** დღეს, კვირას, განათლების სამინისტროს ბინაზე ათიდან სამ საათამდე უნდა გამოცხადდენ უცხოეთში მიმავალი სტუდენტები.

✦ **თავდასხმა.** 18 დეკემბერს, საომიაციო რაზმის მოსამსახურე მიკირტ მალუკოვს, მიხა ვაჩინგოვსა და სამსონ ტერ-სარქისოვს, მადათოვის კუნძულზე, № 38-ში, მცხოვრებთ, მილიციის ფორმაში თავს დაესხნენ 5 შეიარაღებული ბოროტმოქმედნი და წაიღეს 22,000 მანეთის საქონელი და ერთი ვინტოვკა.

✦ **სახელმწიფო უნივერსიტეტში** დღეს, 21 დეკემბერს პირველ აუდიტორიაში ს.-დ. სტუდენტთა „ფილოსოფიურ-ეკონომიურ წრეში“ დანიშნულია ამხ. ნიკიფორე იმნაიშვილის მორიგი ლექცია ფილოსოფიაზე. დასაწყისი ნაშუადღევს პირველის ნახევარზე.

✦ **ლექცია.** დღეს, დილის ათ საათზე სახალხო უნივერსიტეტში ხელზე მოსამსახურეთა კავშირის სასარგებლოთ ა. აზატიანი წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: „თანამედროვე მომენტი და იქონ. პოლიტიკა მუშათა კლასისა“. კავშირის კულტურულ განმანათლებელი კომისია აცხადებს, რომ ის ლექციის ბილეთები, რომლებიც გაყიდული იყო შვიდი და თოთხმეტი დეკემბრის რიცხვით, გამოდგება შესასვლელად აზატიანის დღევანდელ ლექციაზე.

✦ **სახელმწიფო თეატრში** ორშაბათს, 22 დეკ. კოშიცის მონაწილეობით „ვერტერი“. სამშაბათს, 23 დეკ. მესამედ ვიქ. დოლიძის კომიკური ოპერა „ქეთო და კოტე.“

✦ **გორიდან** შემდეგი დეპეშა მივიღეთ. ხაშურის სახალხო გვარდიის შტაბის ცნობა, რომ გვარდიელებმა მოჰკლეს ყაჩაღი პეტრე სამხარაძე, სიმართლეს არ შეიცავს, სამხარაძე მოჰკლეს სურამის მილიციონერებმა. არც ერთი გვარდიელი ამ შემთხვევის დროს იქ არ ყოფილა. სურამის თემის თავმჯდომარე ალ. თევზაძე.

✦ **სახალხო უნივერსიტეტი.** დღეს, სალ. 6 საათ. სახალხო უნივერსიტეტის ქართულ განყოფილებებში დანიშნულია შემდეგი მორიგი ლექციები: 3 განყოფ. (ჩუღურეთი) 1) ირემაშვილი „ეკონომიური საკითხები“ 2) ი. ანთაძე „საქართველოს ისტორია“. 5 განყოფ. (წ. ნინოს რაიონი) 1) შალამბერიძე „ქიმია“ 2) ასათიანი „საფრანგეთის რევოლიუციიდან“. ხვალ, ორშაბათს 22 დეკ. დანიშნულია შემდეგი ლექციები: 2 განყოფ. (ვერა) 1) შალამბერიძე „ქიმია“ 2) ბარნოვი „საქართველოს მწერლობა“. 4 განყოფ. (ორთაჭალა) 1) ანთაძე „საქართველოს ისტორია“ 2) კოტეტიშვილი „სოციოლოგია“. 7 განყოფ. (საბურთალო) 1) ირემაშვილი „ეკონომიური საკითხები“ 2) აბრამიშვილი „ხელოვნების ისტორია“. 8 განყოფ. (ავლაბარი) 1) ს. მესხი „სამშობლოს აღწერა“ 2) სერ. ჟორჟოლიანი „პოლიტიკური ეკონომია“.

✦ **ეშმაკის მათრახის** მორიგი ნომერი (№ 5) გამოვიდა დღეს.

✦ **ახალი წიგნი.** პირველ დაწყებითი პრაქტიკული ჰიდრავლიკა (სახელმძღვანელოთ და საცნობი წიგნაკი) ინჟინერ ბ. ა. ჭიჭინაძისა რედაქციით მიიღო წიგნი სუფთა გამოცემაა და ღირს 25 მან.

✦ **კანტორა „განათლებისაგან“** ვინც პირველ იანვრამდე ძველ ვალს არ გაასწორებს და მომავალი წლისათვის ავანსს არ გამოგზავნის იმათ პირველ იანვრიდან გაზეთები არ გაეგზავნებათ.

საჭიროა აგენტები ყველა იმ დაბებში და სოფლებში, სადაც გაზეთები არ მიდის, აგენტებს გაეგზავნებათ ყველა ჟურნალ-გაზეთები, და ახალი წიგნები, ქარტები, სურათები და კალენდრები. ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: თფილისი ფოსტის ყუთი № 96, სილიბისტრო თავართქილაძეს.

**ქურდობა.** 18 დეკემბერს საღამოს 6 ს. მადათ. კუნძულზე სუთიძის სახლში მცხოვრებ 4 მუშას მოპარეს 7,450 მან. საქონელი.

— 19 დეკემბერს საღამოს 8 ს. ირაველი კოდორსკაიას მოპარეს 9000 მან. საქონელი. დაატუსაღეს მარია სტომბურლიანცი, რომელსაც აღმოაჩნდა მოპარული საქონელი.

**კ რ ე ბ ე ბ ი**

ორშაბათს, 22 დეკემბერს, საღამოს 5 საათ. შესდგება ს. ს დ მ. პ მესამე რაიონის კოლექტივის, ავლაბრის მუშათა კლუბის, და ავლაბრის სახალხო უნივერსიტეტის გამგეობების არაჩვეულებრივი სხდომა. მიზანი შეერთებული კრების მოწვევისა არის სახალხო უნივერსიტეტის საქმეების უკეთესად მოწყობა.

— დღეს, საღამოს 6 ს., მეორე რაიონულ კოლექტივის ბინაზე, (ზუბალაშვილის სახლი) დანიშნულია ამავე რაიონის ახალგ. მარქსისტთა ორგანიზაციის წევრთა საერთო კრება.

— კვირას, 21 დეკემბერს პროფ. კავშირთა საბჭოს სადგურში (არამიანცის სახლი რუს. პრ. № 17) დანიშნულია მზულეთა, კანდიტერთა და კუსტარების კრება. ყველა ამ დარგების მუშების დასწრება სავალდებულოა.

— დღეს, დილის ათ საათიდან, რუსთაველის პროსპექტზე, არამიანცის შენობაში დაიწყება კოოპერატივ „ალერძინების“ რწმუნებულთა საზოგადო კრების გაგრძელება.

# უცხოეთი

**რ უ ს ე თ ი.**

**მოხალისეები ყუბანში.** ყუბანში მომხდარი უკანასკნელი ამბების გამო მემარცხენე ნაწილი რადის შეუთანხმდენ შავი ზღვის გუბერნიის გლეხობას, დაარსეს სამხედრო კავშირი, რომლის მიზანიც არის დენიკინის ავანტიურის ლიკვიდაცია. შეადგინეს შეერთებული მთავრობა, რომელიც ეყრდნობა ყუბანის ყაზახობას და ზოგიერთ დონის ყაზახთა ნაწილებს. რადის წევრები სტანიცებში მუშაობენ და ხალხს აცნობენ საქმის ნამდვილ ვითარებას. დიდი აღელვებაა მოხალისეების წინააღმდეგ, რომელთა ფრონტიც დღითი დღე იშლება.

**ყუბანის ატამანის ბრძანება.** ატამანი უსპენსკი უბრძანებს ეგრედ წოდებულ „მწვანე ჯარებს“ შესწყვიტონ თავიანთ მოქმედება ყუბანის ტერიტორიაზე. მათ ეძლევათ უფლება 14 დეკემბრამდე დაუბრუნდენ თავიანთ სახლებს. ვინც თავისი ნებით გამოცხადდება ამ დრომდე, ყოველივე დანაშაული ეპატიება, მაგრამ ვინც აღნიშნულ ვადაზე არ გამოცხადდება, სასტიკად დაისჯება. დამნაშავე „მწვანე ჯართა“ ჯარები გადასახლებული იქნება, და ის სოფლები, სადაც ბლომათ დეზერტირები აღმოჩნდებიან განადგურებული იქნება.

**ბ ე ლ გ ი ა.**

**„ხალხთა ლიგის“ საზოგადოებათა საერთაშორისო კონფერენცია.** 30 ნოემბერს ბრიუსელში უკვე ჩავიდა „ხალხთა ლიგის“ საზოგადოებათა წარმომადგენლების უმრავლესობა საერთაშორისო კონფერენციაზე დასასწრებლათ. კონფერენციის დღის წესრიგი შემდეგი იქნება: ნაციების უფლებათა და მოვალეობათა დეკლარაცია; უმცირეს საერთაშორისო ტრიბუნალის დაარსება; შეიარაღებისა და საერთაშორისო სამხედრო ძალის ორგანიზაციის შემცირება; ნაციონალურ უმცირესობათა უფლებების დაცვა; ნაციათა წარმომადგენლების დემოკრატიული არჩევნები. კონფერენცია შეეცდება განმარტოს „ხალხთა ლიგის“ უფლებები იმ ჩარჩოებში, რასაც სახავს ხელშეკრულება ჰყავლისხმობს და გამოარკვიოს საერთაშორისო მშვიდობიანობის გარანტიები.

**ო ს მ ა ლ ე თ ი**

**საზავო კონფერენცია და ოსმალეთი.** ოსმალეთის მთავრობამ მიიღო შესაფერი ზომები, რათა ოსმალეთის წარმომადგენელნი დაშვებული ყოფილიყვნენ პარიზის საზავო კონფერენციაზე. მაგრამ მთავრობის მუშაობა ლღმდი უშედეგოთ დარჩა. ოსმალეთის საზავო დელეგაციის თავმჯდომარე სენატორი ტევფიკ-ფაშა იქნება.

**უ ნ გ რ ე თ ი.**

**დუნაის ინტერნაციონალიზაცია.** მდინარე დუნაის ქამგეობა ამ ჟამათ შერეულ კომისიის ხელშია, რომელშიაც შედიან მოკავშირე სახელმწიფოთა წარმომადგენელნი. მომავალში ინტერნაციონალურ კომისიის შემადგენლობა გადიდებულ იქნება იმნაირათ, რომ მასში შევლენ ყველა იმ სახელმწიფოების წარმომადგენელნი, რომლებიც მის ნაპირებზე მდებარეებენ კომისია პარიზში იქნება, მისი მდივანი—ბუდაპეშტში. კომისია საერთო ხელმძღვანელობას გაუწევს გემების მიმოსვლის მდინარეზე, აშენებს ინტერნაციონალურ ნავთსადგურებს და სხ.

**ს პ ა რ ს ე თ ი.**

**ყაჩაღის დაპატიმრება.** გაზ. „ირან“-ის ცნობით ქ. არდებილში დაუპატიმრებიათ და თავრიზში გადაუყვანიათ ცნობილი ყაჩაღი გაჯი-ბაბა-ხანი. იგი უკანასკნელ ხანებში ჩავიდა სპარსეთში და შახსევენების გამოსვლა მოაწყო მთავრობის წინააღმდეგ. მას სამხედრო-საველი სასამართლო გაასამართლებს, რომელსაც უკვე გადაეცა.

**ს ო მ ხ ე თ ი.**

**ერევნის გაწმენდისათვის.** პარლამენტის 5 დეკემბრის სხდომაზე აღძრულ იქნა საკითხი ქალ. ერევნის ზედმეტი პირებისაგან გაწმენდის შესახებ. ამის მთავარ მიზეზათ ბინის კრიზისს ასახელებენ. განზრახულია სხვა ქალაქებში გადაიტანონ ის დაწესებულებები, რომლებსაც აუცილებელი კავშირი არა აქვთ ქალაქთან—თავშესაფარები, უნივერსიტეტი და სხვ.

---

**სომხური ფული.** სომხეთის მთავრობა პარიზში ბეჭდავს საკუთარ ფულს, რომლის ჩამოტანის შემდეგაც გახეთების გამოცემით სომხეთის ტერიტორიაზე გაუქმებული იქნება სომხური ჩეკები.

**ა დ ე რ ბ ე ი ჯ ა ნ ი.**

**ახალი კაბინეტი.** ახალ კაბინეტში შედიან: ნ. უსუბეგოვი — მინისტრთა თავმჯდომარე და ფინანსთა მინისტრი; მამედ ჰასან გაჯინსკი (მუს.)—შინაგან საქმეთა მინისტრი; ხან-ხოილი (უპ.რ.)—საგარეო საქმეთა მინისტრი; ხალილ ბეგ ხასმამედოვი (მუსავ.)—იუსტიციის მინისტრი; გამიდ შახტახტინსკი (ცინობილი)—განათლების მინისტრი; კაპლანოვი (ებრაელი)—ვაჭრობა, მრეწველობის და სურსათის; პეპტოვი (ოცკ.)—შრომის და მიწათმოქმედების; ჯამო გაჯინსკი (სოც.)—ფოსტის და ტელეგრაფის და მიმოსვლის; სულთან მეჯიდ განიზადე (იტ.ხ)—სახელმწიფო კონტროლიორი; მახმუდბეკოვი (უპ.რტიო)—სამხედრო მინისტრი; მელიქ-ასლანოვი (უპარტიო)—გზათა მინისტრი. 20 დეკ. მინისტრთა თავმჯდ. ახალ დეკლარაციით წარუდგა პარლამენტს. შესაძლებელია მოხდეს ცვლილებები ვაჭრობა-მრეწველობის და მიწათმოქმედების მინისტრის პორტფელის განაწილებაში.

# სასამართლო

**ყალბი ბონების საქმე.**

ამა წლის მაისში თფილისში ყალბი 50 მანეთიანი ბონები გაჩნდა. მართალია, ბონები უბრალო ფოსტის ქაღალდზე იყო დაბეჭდილი, მაგრამ მაინც ძლიერ წააგავდა ნამდვილ ბონებს და ბაზარზედაც ბლომათ სღლუბობდა. პირველათ აღმოაჩინეს 50 მანეთიანი ამიერ-კავკასიის ბონები სერია ბ. ე. № 0587, შემდეგ კი სერია ბ. გ 0525. საგანგებო რაზმმა მიაქცია ამ გარემოებას ყურადღება და მიიღო საჭირო ზომები ბოროტ-მოქმედთა აღმოსაჩენათ. 25 მაისს საგანგებო რაზმის აგენტი ფინგერგუტი შეხვდა ბირჟაზე თავის ნაცნობ ანტონ ხითაროვს, რომელმაც წინადადება მისცა ფინგერგუტს ყალბი ხუთ თუმნიანები გაასაღოს. ფინგერგუტი დაპირდა ამ დავალების შესრულებას და ყოველივე ეს მოახსენა საგანგებო რაზმის უფროსს კიდეც. გადაწყვიტეს თვალ ყური ადევნონ ხითაროვს და იყიდონ მისგან ბონები. 27 მაისს ფინგერგუტმა მიუტანა სახლში ხითაროვს 8,000 მ. და სამაგიეროთ მიიღო 13 ათასი მანეთის ყალბი ბონები. შეიპყრეს რა ხითაროვი, მის სახლში აღმოაჩინეს 7 ათასი მან. ყალბი ბონები. დაკითხვის დროს ხითაროვმა განაცხადა რომ ყალბი ბონები მიიღო მან თავის ძველ ნაცნობ ფილიპე ნიკოლაიშვილისაგან გასასაღებლათ. საგანგებო რაზმის აგენტებმა აღმოაჩინეს აგრეთვე, რომ ყალბ ბონებს ავრცელებენ მიხეილ შადმანოვი, ბაგრატ ტერ-მელიქსეტოვი, რომელსაც უპოვნეს 1250 მან. ყალბი ხუთთუმნიანები, მიხეილ გურგენიძე, რომელსაც პატარა დუქანი ჰქონდა პუშკინის ბაღთან, აპოლონ ჯაფარიძე, მუსა კალანდაროვი, ვასილ რატიშვილი, ნიკოლოზ მაღლაკელიძე და თერძი იასონ კუპრაძე.

კალანდაროვს შეპყრობის დროს აღმოაჩნდა 80,000 მ. ნ. ყალბი ბონები, რატიშვილს—28 750 მან. ყალბი ბონები ჩამოართვეს. კუპრაძის ჩვენებიდან გამოირკვა, რომ საბეჭდავი მანქანა ყალბი ბონებისა მცხეთის მახლობელ მონასტერში არისო, რომელსაც განაგებს ცნობილი ყაჩაღი ფირან ზანდუკელიო. 6 ივლისს საგანგებო რაზმის აგენტები გაემგზავრენ მცხეთისაკენ და კუპრაძის ჩვენების თანახმად მივიდენ მონასტერ „მწირში“. აქ აღმოჩნდა ყაჩაღი ფირანა, რომელიც ხანგრძლივ სროლის შემდეგ მილიციელების მიერ იქნა მოკლული მაგრამ საბეჭდავი მანქანა მაშინ ვერ აღმოაჩინეს ამავე დროს დუშეთის მაზრის კომისარმა მიიღო ცნობა, რომ ზედაზენის მონასტერში, რომელიც 10 ვერსით არის დაშორებული „მწირის“ მონასტრიდან, ვილაცეებმა საბეჭდავი მანქანა დადგესო. მართლაც, მილიციამ აღმოაჩინა საბეჭდავი მანქანა „ამერიკანკა“ ტიპ. ს.

სასამართლომ ამ საქმის გარჩევა დაიწყო 17 დეკემბერს. დაბარებული იყო 42 მოწმე სასამართლოში გამოცხადდა 35 მოწმე. სასამართლოს მიერ მოწვეულ იქნა ექსპერტი ი. მიტრეველი, ექსპედიციის მოხელე, რომელმაც დაადასტურა წინასწარი გამოძიების წარმოების დროს ექსპერტთა ჩვენება. პროცესი დამთავრდა 19 დეკემბერს სასამართლომ გამოიტანა განაჩენი: ხითაროვი, ნიკოლაიშვილი, შადმანოვი, კალანდაროვი და კუპრაძე დამნაშავეთ იქნენ ცნობილნი ყალბ ბონების გავრცელებაში. მათ ყოველივე ღირსების ჩამორთმევით 4 წლის საპყრობილე მიესაჯათ. დანარჩენი გაამართლეს.

# გვარდიის დღე

**პროვინციაში.**

ქ. ზესტაფონი. გვარდიის დღისთვის მზადებას ქ. ზესტაფონის ორგანოები შეუდგა.

12 დეკემბერს—მშვენიერი ამინდი დადგა. ცოცხალი ყვავილებით და ხის შტოებით მორთულ-შემოსილია სახალხო გვარდიის შტაბი, ელტრადაა მოედანზე, რომელსაც ამშვენებს ნოეს სურათი. მორთულია აგრეთვე მუშათა საბჭოს ბინა, სადგური, ქალაქის თვითმართველობა, კომისარიატი, სამკითხველოები და სხ. ხალხი თავს იყრის გვარდიის შტაბთან, მოდიან შორაპნის მუშა-მოსამსახურენი, მოვიდენ მოწაფენი. ყველა ელოდება რესპუბლიკის და თავისუფლების მცველ გვარდიას. გამოჩდენ გვარდიელები, ხალხი მათ განგაშით და ტაშით ხვდება. გვარდია მწკრივდება შტაბის წინ. შტაბი ღებულობს პარადს. შემდეგ პროცესია მუსიკით მიდის მოედნისკენ. სრულ 12 ს. იხსნება მიტინგი ბ. გ. შენგელიას თავჯდომარეობით. მგრძნობიარე სიტყვას ამბობს შტაბის წარმომადგენელი ს. მენაღარაშვილი.

გვარდიას მიესალმენ: სამაზრო ერობის, ქალაქის თვითმართველობის, სოც.-დემ. პ. სამაზრო კომიტეტის და ზესტაფონის კოლექტივის, სოც. ფედ. და რკ. გზის პროფ. კავშირის წარმომადგენელნი.

საღამოს ადგ. კლუბის დარბაზში გაიმართა წარმოდგენა გვარდიის სასარგებლოთ. დარბაზი გაჭედილი იყო ხალხით. წარმოდგენის და ვახშმის შემოსავალი 10,000 მ. უდრის. ვინმე.

— —

დ. თიანეთი. 12 დეკემბერს დილიდანვე დაბა საკმაოდ გალამაზებული იყო: შუა დაბაში შეკრული იყო კამარა, მწვანე ხვეულებით შემკული და შესაფერისი წარწერებით; დაბის უმთავრეს ქუჩაზე სახლებზე გამოფენილი ხალიჩები, გამოჩენილ მოღვაწეთა სურათები და ტილოზე წარწერები: „გაუმარჯოს სახალხო გვარდიას“, „დიდება სამშობლოს“ და სხვა. ასეთივე კამარა გაიმართა ადგილობრივი უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლის ეზოს შესავალში. 12 დეკემბერს ამინდი მშვენიერი იყო.

გვარდიის შტაბის ეზოდან გამოვიდა თიანეთის მაზრის გვარდიელთა ასეული. მწყობრი ნაბიჯით, ის გაიარა დაბის შუა ადგილისაკენ და აქ შეჩერდა. მას აქ შეუერთდა ადგილობრივი მილიცია. მეორე მხარეს გამწკრივდნენ მოწაფეები, მასწავლებლები და მოქალაქენი. ასეულს აქ მიესალმა შტაბის თავმჯდომარე ქ. ბრეგვაძე, რომელმაც მილოცა დღესასწაული და მოკლეთ აღნიშნა ამ დღის მნიშვნელობა. შემდეგ მიესალმა გვარდიას ერობის გამგეობის თავმჯდომარე ვ. პაპავა, მიესალმენ ყველა პოლიტიკურ ორგანიზაციებისა და ქალთა წრის წარმომადგენელნი.

ამის შემდეგ პროცესია გაემართა უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლის

# ახალი წიგნი

3.

Н. Ленинъ. Пролетарская революція и ренегатъ Каутскій,

თუმცა ეს წიგნი ერთი წელია, რაც რუსეთში გამოსულა, მაგრამ მას მაინც „ახალ წიგნების“ რიცხვში აღვნიშნავთ. ჩვენთვის, ქართველებისათვის, ის ახალია, რადგან სულ რამდენიმე კვირაა, რაც, მას ერთი წლის რუსეთის უზარმაზარ სივრცეზე, ფრონტთა და ფორტთ შორის მოგზაურობის შემდეგ, ჩვენამდი მოუღწევია, ისიც, თუ არ ვცდებით, ერთად ერთ ეკზემპლიარს.

დამახასიათებელი მოვლენაა, არა, მკითხველო? მეოცე საუკუნეში, მწიგნობრობის უმწვერვალეს განვითარების დროში, სწრაფი მატარებლებისა და აეროპლანების ხანაში, წიგნის ერთი წლის მოგზაურობა!

არ გაგონდებათ საშუალო საუკუნოება, როდესაც რომელიმე შესანიშნავი მწერლის ნაწარმოები, ხელნაწერი, რამდენიმე ბედნიერ მკითხველს თუ ჩაუვარდებოდა ხელში? რა ვქნათ, თუ ეს, ასე ვთქვათ, მეოცე საუკუნეს „საშუალო საუკუნოები“ შედეგია კომუნისტების ხანგრძლივი „მოღვაწეობისა“ და ერთი წლის უკან გამოსული წიგნი „ახალ წიგნათ“ გვევლინება?

და აი, ეს ლენინის უკანასკნელი (შეიძლება ვცდებოდეთ!) წიგნი, ერთათ ერთი, ვით იშვიათი არქეოლოგიური დოკუმენტი, დაინტერესებულ მკითხველებისა ხელიდან ხელში გადადის. ჩვენც გავხდით ბედნიერი მისი წაკითხვის „რიგში“ მომხვდარიყავით და გვსურს ორიოდე სიტყვა ვთქვათ ლენინის ახალ „შემოქმედებაზე“.

ნ. ლენინის ზევით ამოწერილი წიგნი არის პასუხი კარლ კაუცკის ბროშურის „პროლეტარიატის დიქტატურა“, რომლის შინაარსს ჩვენი მკითხველები უკვე იცნობენ. ამ ორი შრომის სახით დაუპირდაპირდა და ერთი მეორეს ორი დიამეტრალურათ მოწინააღმდეგე, მუდამ შეურიგებელი აზროვნება და მსოფლმხედველობა: კომუნისტური, ანარქიზმისაკენ საგრძნობლათ გადახრილი, თეორიაში ბუნტარული და ბლანკისტური ტაქტიკაში ერთის მხრით და კოლექტივისტური, მეცნიერულ სოციალიზმზე აგებული, მარქსისტული და მეცნიერულ ისტორიული მეორეს. პირველის ტიპიური, სტიქიური გამომხატველია რუსეთის ჩამორჩენილ ეკონომიურ-კულტურულ ცხოვრების პირმშო შვილი ნ. ლენინი, ხოლო მეორეს საუკეთესო და უბადლო წარმომადგენელია ევროპის განვითარებულ და გაწვრთნილ სამრეწველო პროლეტარიატის იდეოლოგი კ. კაუცკი.

აი, ეს ორი, თანამედროვე ცხოვრების გარდამავალი ხანის დამახასიათებელი მიმართულება შეეტაკა ერთი მეორეს ამ ორი ნაწარმოების სახით. მათ, აგრეთვე დიდათ ანსხვავებს გარეგანი მხარე: ლენინი საშინლათ ცხარობს, ღელავს, ქუჩური სიტყვებით ილანძღება, პირდაპირ იგინება, ისტერიკაში ვარდება, მისი აზრები საშინლათ დახტიან, უძლურებას ამჟღავნებენ. ეს არის მომაკვდავი, უკანასკნელი იდეური ამონაკვნესი მუშათა მოძრაობის, პრიმიტიული, ბუნტარული კომუნიზმისა.

კაუცკი ოლიმპიური სიმშვიდით მსჯელობს, მეცნიერულ სტილს ერთხელაც არ ღალატობს. თითო სიტყვა მისი მკვეთრი მახვილია, მისი არგუმენტაცია ცვია, ის არ უხვევს ნაცად, ტრადიციულ მარქსისტულათ დამშვიდებულ მსჯელობის გზას, მას არ უყვარს იაფფასიანი ხასიათის პოლემიკური საშუალებანი. ეს არის ტრიუმფალური, მრისხანე მსვლელობა თანამედროვე სამრეწველო პროლეტარიატის სოციალისტური მოძრაობისა. კაუცკის პირით თვით მეცნიერება ლაპარაკობს.

საერთოთ ლენინის ეს შრომა ახდენს მეტათ მძიმე, პირდაპირ კოშმარულ შთაბეჭდილებას. ძნელათ თუ შეხვდებით სოციალისტურ ლიტერატურის ისტორიაში მის მაგვარ ნაწარმოებს. ჩვენ არ წარმოგვიდგენია, თუ მწერალი, რომელსაც თავისი თავი მუშათა კლასის იდეოლოგათ მოჰქონდეს, ისეთ დაბალი ხარის ლანძღვა გინების კორიანტელს დააყენებდა, როგორც ლენინი აძლევს თავის თავს ნებას დასახელებულ წიგნაკში. ამ წიგნის წაკითხვის შემდეგ გვესმის იმ ჩვენი ნაცნობის სულის განწყობილება, რომელმაც გადმოგვცა წიგნი წასაკითხავათ და თან გულწრფელათ დასძინა, რომ ველარ შევძელი ბოლომდი წაკითხვა ის.

„ბურჟუაზიის ლაქია“, „რენეგატის ტყუილი“, „20 страницъ заняль наши водолей болтовней“, „უკიდურესი სისულელე“, „მოშენიკობა“, „დაგვანახა თავისი ვირის ყურები“, „съ ученостью ученѣйшаго кабинетнаго дурака“, „въ сладенькой фантазіи сладенькаго дурачка Каутскаго“, „столь гнусную ложь могъ сказать только негодяй, продавшійся буржуазіи“, „совсѣмъ глупыя фразы“, „намъ ученѣйшій Іудушка Каутскій“, „Каутскіе будутъ въ помойной ямѣ ренегатовъ“, „литературное мошенничество“, აი, ის ზოგიერთი მარგალიტი, რომლითაც ლენინი ამკობს კ. კაუცკის. ასე გასინჯეთ, ლენინი იმდენათ გათამამებულა, რომ ის სიტყვას თეორეტიკოსს, როდესაც ის ეხება კაუცკის, სვამს ფრჩხილებში!

კაუცკი, ეს სწორუპოვარი მარქსისტი მკვლევარი, სახელგანთქმული ავტორი მრავალ ისტორიულ და ეკონომიური გამოკვლევათა, ავტორი ცნობილ „ანტიურ ქვეყნისა“, ის თეორეტიკოსი სინიდისი საერთაშორისო სოციალდემოკრატიისა უნდა იწოდებოდეს „თეორეტიკოსათ“ ფრჩხილებში ბლანკისტ ლენინისაგან?!

ჭეშმარიტათ დასთვლილი უნდა იყოს რუსეთის კომუნიზმის დღეები, რომელიც აზრდილებს ასეთ იდეოლოგს!

რა მოხდა, რამ დაუკარგვია ასე ლენინს სულიერი წონასწორობა, რით დაიმსახურა კ. კაუცკიმ ეს უშვერი ლანძღვა-გინება?

კაუცკის თავის შრომაში „პროლეტარიატის დიქტატურა“ ბოლშევიკების წინააღმდეგ ამტკიცებდა, რომ მარქსს დიქტატურა სრულებით ისე არ ესმოდა, როგორც ლენინსა და მის ამხანაგებს. კაუცკი მარქსის ნაწერებიდან მთელი რიგი ადგილების მოყვანით ცხადათ ყოფდა იმ ყველა მარქსისტისათვის უდავო დებულებას, რომ პროლეტარიატის დიქტატურა გულისხმობს საწარმოვო, სოციალურ და კულტურულ განსაზღვრულ პირობებს, ე. ი. როდესაც პროლეტარიატი წარმოადგენს რიცხვით საზოგადოების უმრავლესობას და საკმაოთ ფესვები აქვს გადგმული მისს კულტურულ-იდეოლოგიურ გეგემონიას ფართო მასებში. მეორეს მხრით, პროლეტარიატის დიქტატურა სრულიად არ გულისხმობს დემოკრატიის მოსპობას, მისი ბატონობის შეზღუდვას პოლიტიკურად.

შემდეგ კაუცკის შეხედულობით, მარქსს პროლეტარიატის დიქტატურა ესმოდა, როგორც გარდამავალი მომენტი, არა როგორც „მართველობის ფორმა, არამედ როგორც გარდამავალი მდგომარეობა, რომელიც ძალაუნებურად უნდა დადგეს ყველგან იქ. სადაც პროლეტარიატმა პოლიტიკური ძალაუფლება ხელთ იგდო. რომ მარქსს აქ მხედველობაში მმართველობის ფორმა (როგორც ეს გაიგეს რუსეთის ბოლშევიკებმა ა. ქ.) არ ჰქონდა მხედველობაში, ეს მტკიცდება აგრეთვე მით, რომ მას სწამდა, რომ ინგლისსა და ამერიკაში ეს გადასვლა შეიძლება მოხდეს მშვიდობიანათ, მაშასადამე დემოკრატიული გზით“.

ქვევით, კაუცკი იგონებდა რა პარიზის კომუნის ისტორიას, ამბობდა: „პროლეტარიატის დიქტატურა მარქსისათვის იყო მდგომარეობა, რომელიც აუცილებლათ გამომდინარეობდა წმინდა დემოკრატიისგან, თუ პროლეტარიატი უმრავლესობას შეადგენდა“.

როგორ „არღვევს“ ლენინი კაუცკის ამ შეხედულებებს? ჯერ, რასაკვირველია, ის ისტერიკაში ვარდება, ერთს მაგრათ შეუკურთხებს, მიალანძღავს მოწინააღმდეგეს, რაც მხოლოდ იმის უძლურებას ამჟღავნებს. შემდეგ კაუცკის მიერ მართველობის ფორმის და მდგომარეობის (состояніе) განსხვავებას უწოდებს „მაშენიკობას“, „უკიდურეს სისულელეს“, მის მიერ ნახმარ ცნებას „წმინდა დემოკრატიას“ ბურჟუაზიულ ცრუმორწმუნებას და ბურჟუაზიის ლაქიობას.

„რას მიქვია წმინდა დემოკრატია, „დემოკრატია საზოგადოთ“ გაიძახის განარქისტებული ლენინი. მას დემოკრატია ასე ესმის: „უნდა დაისვას საკითხი: „დემოკრატია რომელ კლასისთვის?“ მისი აზრით დემოკრატია უნდა გვესმოდეს ვიწრო კლასიური ფარგლებში, საერთოთ დემოკრატიაზე ლაპარაკი არის ბურჟუაზიული ლაზღანდარობა. ამიტომ „დიქტატურა არ ნიშნავს უსათუოდ დემოკრატიის მოსპობას იმ კლასისთვის, რომელიც ახორციელებს ამ დიქტატურას, მაგრამ ის აუცილებლათ ნიშნავს მოსპობას იმ კლასის დემოკრატიის, რომლის წინააღმდეგ მიმართულია დიქტატურა“.

ხედავთ, მკითხველო, რა აბურდაში მიდის ლენინი, რამოდენა ნახტომი გაუკეთებია მას მარქსიზმიდან? გამოდის, რომ პროლეტარიატი თუ ახორციელებს თავის დიქტატურას მოწინააღმდეგე კლასის, მაგ., ბურჟუაზიის წინააღმდეგ, მაშინ მან უნდა მოსპოს ამ კლასის დემოკრატია ე. ი. დღევანდელი საზოგადოების უდიდესი ნაწილი ქალაქის წვრილი ბურჟუაზია და გლეხობის უდიდესი ნაწილი, რომელიც თავისი კერძო საკუთრებით თავს ირჩენს! ეს თეორია რომ რუსეთის სინამდვილეს შეუფარდოთ—ნიშნავს მისი მცხოვრებთა 90 პროც. მაინც გადავაქციოთ პოლიტიკურ მონებათ! აკი ეს მოახდინეს დიდის ბეჯითობით ლენინის ამხანაგებმა რუსეთში და კიდევაც მიიყვანეს ეს უზარმაზარი ქვეყანა უფსკრულამდე. მერე ყველა ამას ლენინი ლაპარაკობს მარქსის სახელით!

ლენინს რომ მარქსიზმის რამე ესმოს, დემოკრატიაზე ასეთი შეხედულობის არ იქნებოდა. კაუცკის და საზოგადოთ ყველა ჭეშმარიტ მარქსისტს დემოკრატია თანამედროვე მნიშვნელობით, ესმის, როგორც ამა თუ იმ საზოგადოების დიდი უმრავლესობა, რომელიც თავის გამოხატულებას პოვებს საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარულ ხმის მიცემით არჩეულ წარმომადგენლობითი ორგანოში. ეს არის წმინდა დემოკრატია, რომელსაც ლენინი ბურჟუაზიულ ლაზღანდარობას ეძახის, ამ მხრით მარქსისტისთვის წმინდა დემოკრატიას აქვს პოლიტიკური შინაარსი და არა კლასობრივი. ამიტომ დაპირდაპირება პროლეტარულ დემოკრატიის სხვა კლასების დემოკრატიებთან ამ შემთხვევაში არის მხოლოდ ლენინისა და მისი ამხანაგების ერთი დიდი სოციოლოგიური შეუსაბამობა.

ლენინი ჩასჭიდებია კაუცკის ზევით მოყვანილ წინადადებას მშვიდობიან გადატრიალების შესახებ და მის სიხარულს დასასრული არ აქვს. „შეხედეთ —ზეიმობს ლენინი—როგორ უნებლიეთ დაუგდო ხარმა (კაუცკიმ) თავისი ვირის ყურები, მან დასწერა: „მშვიდობიანათ, ე. ი. დემოკრატიული გზით!!“ კაუცკი მთელი ლაბირინთებით ცდილობდა დაემალა მკითხველისთვის ძირითადი ღირსება ამ (ე. ი. დიქტატურის) ცნების, სახელდობრ: „რევოლიუციონური ძალდატანება“ (გვ. 16) მაშ რა ახასიათებს დიქტატურას? „რევოლიუციური დიქტატურა პროლეტარიატის არის ხელმწიფება, რომელიც მოპოვებულია და გამაგრებულია პროლეტარიატის ბურჟუაზიაზე ძალდატანებით, ხელმწიფება, რომელიც არ არის შეზღუდული არავითარი კანონებით“.

ალ. ჟორჟოლიანი.

(დასასრული იქნება)

გზისკენ. აქ გაიმართა საჯარო კრება. პირველი სიტყვა აქ ამხანაგთა დავალებით წარმოსთქვა ვ. ჩ—ძემ.

დამსწრეებმა „გაუმარჯოს“ ძახილით უპასუხეს მოლაპარაკეს სიტყვის დამთავრებისას.

ილაპარაკეს პარტიათა წარმომადგენლებმა.

ამის შემდეგ გაიმართა ეზოში ცეკვათამაში და სიმღერები და ნასიამოვნები ხალხი საღამო ხანს დაიშალა.

ადგილობრივ თეატრში საღამოს გაიმართა წარმოდგენა.

წარმოდგენის შემდეგ გაიმართა ვახშამი.

ასეთი დღესასწაული დ. თიანეთს არასოდეს არ უნახავს და სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ღირსეულადაც გადაიხადა. ვ. ჩ—ძე.

## სენაკის სამაზრო ერობის ხმოს. მესამე ყრილობა

(დასასრული)

**მაზრის მილიციის უფროსი ბ. ჩაჩია.** ყველას მოეხსენება, რომ შინაურ მშვიდობიანობას ყველაფერზე დიდი მნიშვნელობა აქვს. ჩვენც არ დავიზოგავს ჩვენი ძალ-ღონე წესრიგის დამყარებისათვის. საბედნიეროთ, მიზანს დაუახლოვდით, ყაჩაღები განადგურებულია, ქურდები შედარებით ავლაგმეთ, ვიცით ვინ არის საზოგადო მყუდროების მავნე და მგონია მათაც ავლაგმავთ. დაბრკოლება კი ბევრი შეგვხდა: უმთავრესი ხელის შემშლელია თემების მიერ ხელის არ შეწყობა, ზოგი თემი უფლებას აჭარბებს და გამოდის ორი მთავრობა. მილიციონერები მატერიალურად გაჭირვებაში არიან, არ ეძლევათ თავის დროზე ის მცირე ჯამაგირიც კი, არ აქვთ ტანისამოსი (ფორმის), ბინა არ გვაქვს ცხენების თავლა. ხელს გვიშლის უტელეფონობაც (არა რიგიანად მოწყობილი) და სხვა.

**საზოგადო მდგომარეობა.** (გამგეობის თავმჯდომარე ბ. ის. მალანია) ბოდიშს ვიხდი, ვწუხვარ, რომ ავათმყოფობამ ხელი შემიშალა და თავიდან კრებებს ვერ ვესწრებოდი. გიცხადებთ მადლობას ნდობის გამოცხადებისათვის (პირველათ ესწრება საზოგადო ყრილობას) და ვეცდები თქვენისავე დახმარებით იმედი არ გაგიცრუოთ. წასულ სექტემბრის 15 ჩვენს ერობას წელიწადი შეუსრულდა, ჩვენ იმ დროს ერობათა ყრილობაზე გიახელით და როგორც იქ გამოირკვა ჩვენი ერობა სხვებთან შედარებით მაღლა დგას და თავის დანიშნულებას ასრულებს. თუ ჩვენ ან სხვა ერობებს შეცდომები აქვს, ეგ, ბ ნებო, ადვილი ასახსნელია, ჩვენ უბრალო წერა-კითხვასაც არ გვასწავლიდენ, მაშ როდის მოვემზადებოდით ისეთი რთული საქმის საწარმოებლად, როგორც ერობაა. ძველი მთავრობა ხალხს და მის მისწრაფებას გასაქანს არ აძლევდა, ჩვენ არ გვამზადებდენ, არ გვასწავლიდენ და გვიჩოდენ კი, ღირსი არა ხართ ერობის, კაცები არა გყავთ და საიმისოთ არც ხალხია მომზადებული... ერთი წლის ჩვენმა არსებობამ დაამტკიცა, რომ ჩვენ თურმე შევძლებთ თავის მოვლას, შევძლებთ უპატრონო ყოფნას, დამტკიცდა, რომ ხალხიც დიდის თანაგრძნობით შეხვდა ერობის მოღვაწეობას და ნდობა გამოუცხადა მას. ხალხი ერობას რომ სიყვარულით უცქერის, ეს დაამტკიცა მუკოტეხილის კლდიან ადგილებში საეტლო გზის გაყვანამ, ამ გზას უაღრესი ეკონომიური სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს, მისი გაყვანა ძველ დროში ვერ შესძლეს, ჩვენც დიდათ გვეშინოდა დაწყება, მაგრამ საბედნიეროთ ვძლიეთ, როცა საქმეს შეუდექით. როცა ნალმი ავაფეთქეთ, ხალხი დარწმუნდა, რომ არ ვხუმრობთ და სამუშაოთ მოლოდინზე მეტი გამოვიდა, ყველამ თავადმა, აზნაურმა, მღვდელმა, ყველამ მიიღო მონაწილეობა. ჩვენ ვთხოვდით 100 მუშას, გამოდიოდა 200. ამ რიგად ამ მიუვალ უდაბურ ადგილას გზა ტკეცილი გავიყვანეთ და ეს ბრწყინვალე გამარჯვებათ მიგვაჩნია... დიდ სიძნელეს წარმოადგენდა თემების გამოჭრა, ჩვენ ეს გამოვჭერით ძველ ადმინისტრატიულ ფარგლებში და ეს ხალხმა მიიღო, იყო მხოლოდ ერთი შემთხვევა ორი თემის გაერთიანების. ჩვენ ვეცადეთ, რომ თემების გამგეობა (სამი კაცი) ყოფილიყო ჯამაგირიანი და ამით გამგეობა არ ჩავარდნოდა ხელში „კულაკებს“, ეს შევძელით. ვცდილობთ თემებსაც შეუქმნათ საკუთარი ბიუჯეტი. ვიცით რომ თემებს აკლია ინტელიგენტური ძალა, შევეცადეთ ინსტრუქტორების დაგზავნა მაგრამ ჯერჯერობით ამ მხრივ ცოტა გავაკეთეთ. ამის მიზეზით თემები და ჩვენ ვერ ვართ ჯერჯერობით ერთი მეორეზე გადაბმული, თუ რა ხდება თემებში, ამას თქვენ, ხმოსნები, უნდა გაგვწვდიდეთ, თქვენ უნდა გვიჩვენებდეთ პრაქტიკულ გზას. ხმოსნები და გამგეობა ხელი ხელ ჩაკიდებული უნდა ვიყოთ. ადმინისტრაცია დღეს სავსებით ერობის ხელშია. რესპუბლიკის ბედნიერება მთლად ამ ადმინისტრაციაზეა დამოკიდებული, თუ ჩვენ შევძელით წესრიგის დამყარება, თუ ამით ჩვენი თავი თვით ვიცანით დამოუკიდებლად, მაშინ სხვებიც გვიცნობენ ევროპის ბურჟუაზიული სახელმწიფოები არასოდეს არ გვიცნობენ, თუ ჩვენში არ იქნა მყუდროება, თუ მათ ვერ შესძლეს ჩვენთან ვაჭრული დამოკიდებულება. მიუხედავათ იმისა რომ მილიციას პარტიულ იარლიკით ილებდენ, მათში ბევრი მოყვა არა საიმედო. ზოგი დავითხოვეთ, ზოგი ციხეში ზის, მილიციის გაწმენდაში დაგვეხმარა ხალხი, ხელი არ დააფარა, ასევე მოექცენ ქურდებსაც. მილიცია უხალხოთ ვერას გააწყობს—საბედნიეროთ ხალხი უკვე აფასებს მყუდრო ცხოვრებას, მაგრამ ზოგ ადგილა[illegible]ების შენახვა კიდევ სწამთ.

**სასამართლო.** მომრიგებელ მოსამართლენი ჩვენი არჩეულია და ჩვენს ხელშია, ჩვენ მათ ხელი უნდა შეუწყოთ. სამწუხაროთ, კანონის ძალით მოსამართლე ირჩევა 3 წლით და თუ არ გამოდგა ჩვენ მისი ამრჩევლები მას ვერ გადავაყენებთ, ამით კი ზოგიერთებმა ისარგებლეს და ხალხისა და რესპუბლიკის ინტერესებს არ იცავენ—ამის მაგალითები იყო. (მოყავს მაგალითი).

**საერთო მუშაობა.** მუშაობა ჩვენ გვიხდება დანგრეულ ხანაში, ძველმა ჩვენ არაფერი დაგვიტოვა, ჩვენ არ ვიცით რა გვაქვს, რის პატრონი ვართ. არა გვაქვს ხალხის ცხოვრების სწორი სარკე, არა გვყავს სპეციალისტი სტატისტიკები, საამისო კურსები ახლა დაარსდა თფილისში და როცა გვეყოლება, ჩვენც ვეცდებით შევისწავლოთ ჩვენი ქვეყანა, რადგან ამაზე დამყარებული, ჩვენი ყოფნა არ ყოფნა. გერმანიაში კარგად იციან ვინ რამდენ წვეთ რძეს სვამს. ჩვენც ვეცადეთ გაგვეგო ჩვენი მხარის ეკონომიური მდგომარეობა, მაგრამ მოგვაწოდეს სიცრუე... ბევრი დაბრკოლება გვიჩვენა აგრეთვე უბუღალტერობამ. ანგარიშით, სისწორით არ არის ნაწარმოები, ისე ერობა კი არა, უბრალო მედუქნეც მოიტეხს კისერს. ძველმა და ჩვენიანმა ბუღალტერმა დიდი ზიანი მოგვაყენა, ანგარიშები აწეწ-დაწეწა... ბევრი ვეძებეთ ახალი კაცი, არ მოვერიდეთ დიდ სასყიდელს, მაგრამ ვერ ვიშოვეთ, ვიშოვეთ უცხო კაცი, ყოჩაღი, მაგრამ არ იცის ქართული და ამიტომ საქმეს (ანგარიშები) რუსულად ვაწარმოებთ და ეს ხელის შემშლელიც არის და სირცხვილიც. (მოყავს მერე ციფრები). ჩვენ არა ვართ ღმერთები, არ ცდება ის, ვინც არას აკეთებს, ვინც ბევრს აკეთებს ის ბევრ შეცდომასაც დაუშვებს.

ჩვენ კრიტიკას არ გაურბივართ. ხმოსნებიდანაც ველით კრიტიკას, რადგან კრიტიკა ჩვენი მასულდგმულებელი ჰაერია, მაგრამ უსაფუძვლო ინტრიგანულ კრიტიკას კი უყურადღებოთ და უპასუხოთ არ დავტოვებთ. (მხურვალე ტაში—საერთო).

ჩე—კოჩი.

## ლოტი შევარდნაძე

ერთი წელი შესრულდება 22 დეკემბერს, რაც სომხების შემოსევის დროს სად. სადახლოსთან ბრძოლაში დაეცა მე-2 ქართული სამთო ცხენოსანთა ბატარეის არტილერისტი აქსენტი (ლოტი) გიორგის ძე შევარდნაძე.

ლოტი ცნობილი იყო ამხანაგებში, როგორც საქმის მოსიყვარული, მოვალეობის მტკიცედ შემსრულებელი და შეუპოვარი მებრძოლი. ის თავის ნაწილში დიდი ნდობით იყო აღჭურვილი. თავდაპირველათ ის მსახურებდა ფერშლის მოწაფეთ; მაგრამ, დაინახა რა სამშობლოს გასაჭირი, არტილერიაში ჯარისკაცათ ჩაეწერა. აქ ის პოლკ. ცაგურიასთან ერთად დაწინაურდა ოსმალებთან ბრძოლაში. ბათუმის დაცემის დროს ის ტყვეთ ჩაუვარდა ოსმალებს; დაბრუნებისას განაგრძო სამხედრო სამსახური. გავიდა დრო. იფეთქა საქართველო-სომხეთის ომმა. სადახლოში ლოტის ნაწილმა მიიღო უკან დახევის ბრძანება პოლკოვ. ცაგურიამ გამოგზავნა 3 ზარბაზანი და გამოაყოლა ლოტი, რომელმაც ნაბრძანები შეასრულა; ბოლო ცაგურია ერთი ზარბაზნით უკანასკნელ შესაძლებლობამდე მტერს იგერიებდა. ამ დროს ცაგურიას ჯგუფს მტერმა ალყა შემოარტყა. ალყის გამოსარღვევათ გაჩაღდა ხელჩართული ომი, რომელსაც მოუსწრო დასახმარებლათ მობრუნებულმა ლოტიმ. ის ეკვეთა მტერს და აქ შეიქნა მსხვერპლი ტყვიისა. დაჭრილი ცაგურია ამხანაგებით გამოუსხლტა მტერს, საყვარელი ლოტის გვამი კი, მტრის ხელში დარჩა. ეს იყო მიზეზი, რომ ლოტი სახლში ვერ მოასვენეს, რაც დაჩაგრული მშობლებისთვის დიდი ნუგეში იქნებოდა. სახელი და ქება იმ მშობლებს, რომელთაც მისცეს სამშობლოს ლოტის სახით ხალხის თავისუფლებისათვის მებრძოლი გმირი. ლოტის ცხოვრება ყოველ მეომრისთვის მისაბაძი მაგალითი იქნება. ლოტი ჩვენს გულში მუდამ ცოცხალია და დარჩება სიმბოლოთ მედგარი და შეუპოვარი ბრძოლისა თავისუფლებისათვის.

საუკუნო იყოს ხსენება შენი, დაუვიწყარო ამხანაგო! ამხანაგი.

## ს.-დ. პარტიაში

**შორაპანი.** 1919 წელსა, ქრისტეშობისთვის 15 დღესა, შესდგა კრება შორაპნის სამაზრო ერობის ყრილობის სოც.-დემ. ფრაქციის მიერ არჩეული კომისიისა სამაზრო ერობის გამგეობის თავმჯდომარის კოტე ბუაჩიძის მოქმედების შესახებ ზესტაფონის კოოპერატივთა კავშირში მუშაობის დროს. დაესწრენ: თავმჯდომარე სევერიანე პოლოშვილი, წევრები: გრიგოლ იმხნელი, ტერენტი გიორგაძე და სოც.-დემ. სამაზრო კომიტეტის წარმომადგენელი გაბრიელ შენგელაია.

მოსმენილ აქნა წერილობითი და სიტყვიერი განცხადება განმარტება კ. ბუაჩიძისა. კომისიამ იქონია მსჯელობა ამ საქმის შესახებ და მიიღო რა მხედველობაში მოხსენების ის ნაწილი, სადაც გამოხატულია მთავარი ინსტრუქტორის ერქომაიშვილის აზრი ზესტაფონის კოოპერატივთა კავშირის მოქმედების შესახებ, შინაარსი იმ რეზოლუციისა, რომელიც გამოტანილი იყო კავშირის საზოგადო კრებაზე და აგრეთვე შინაარსი დანარჩენ წარმოდგენილ საბუთებისა, თათბირის შემდეგ დაადგინა: საზოგადოთ კავშირში ბიუროკრატ-მოქმედებას ადგილი არ ჰქონია და კერძოთ ამხ. კოტე ბუაჩიძე ამ საქმეში სრულიად უდანაშაულოა. თავმჯდომარე სევერიანე პოლოშვილი, წევრნი: გრიგოლ იმხნელი, ტერენტი გორგაძე, გაბრიელ შენგელაია.

———

**ოზურგეთი.** 7 დეკემბერს, შესდგა ოზურგეთის რაიონის პარტიის წევრთა საზოგადო კრება პ. თოთიბაძის თავმჯდომარეობით. კრებას დაესწრო ამხ. ალ. ლომთათიძე, რომელსაც კრება მქუხარე ტაშით შეხვდა. მოხდა არჩევნები რაიონული კოლექტივის წევრთა და წარმომადგენლებისა გურიის კომიტეტში. დაფარული კენჭის ყრით არჩეულ იქნენ გურიის კომიტეტის წევრებათ: მირ. რამიშვილი, გაბრ. გოგუაძე, მიხ. საბაშვილი და პან. თოთიბაძე. პარტიულ კრების შემდეგ გაიმართა დიდი მიტინგი, რომელსაც დიდძალი ხალხი დაესწრო; ალექსანდრე ლომთათიძემ გააკეთა მოხსენება საქართველოს საგარეო და საშინაო მდგომარეობაზე. მომხსენებელი ვრცლად შეეხო არსებულ მდგომარეობას. ხალხმა მას ოვაცია გაუმართა. მიტინგი საღამოს 6 საათზე დაიშალა. X.

## მუშათა შორის

**გურიაში არსებულ ყველა პროფესიონალურ მუშათა კავშირებს.**

ამხანაგებო! 1919 წლის 27 და 28 დეკემბერს ცენტრალური კომიტეტი გურიის მუშათა ასოციაციისა იწვევს გურიის ყველა პროფესიონალურ კავშირთა მეორე კონფერენციას. „მუშათა განთავისუფლება მუშათა საქმეა“. მუშების შეერთება მძლავრ პროფესიონალურ ორგანიზაციებში უტყუარი თავდებია მუშათა ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესობისა და კლასიური შეგნება განვითარებისა. ყველა კავშირებმა უნდა მიიღონ მხურვალე მონაწილეობა კონფერენციის მუშაობაში. არც ერთი საქმე მუშათა პროფესიონალური და სხვა საკითხებისა გურიაში არ არის სათანადოდ ცხოვრებაში გატარებული, რისთვისაც ოზურგეთის მუშათა პროფესიონალურ კავშირთა წარმომადგენლების თათბირმა, მოწვეულმა ასოციაციის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ, აღიარა კონფერენციის მოწვევის დაჩქარების აუცილებლობა. კონფერენცია დანიშნულია 27 დეკემბერს ქ. ოზურგეთში ასოციაციის ბინაზედ (იქვე ხეთ ქალაქის აფთიაქში) და გაიხსნება სამ საათზე. განსახილველია შემდეგი კითხვები: 1) მოხსენება პრეზიდიუმისა და ადგილებიდან, 2) სატარიფო პალატა და კოლექტიური ხელშეკრულება, 3) მუშათა დაზღვევა და სავათმყოფო კასები, 4) შრომის ბირჟა, 5) მომრიგებელი კამერა, 6) მუშათა სეკრეტარიატი, 7) კულტურულ განმანათლებელი მუშაობა, 8) საორგანიზაციო, ფინანსიური და სხვა საკითხები, 9) ცენტრალური კომიტეტის არჩევნები, 10) კავშირებმა დელეგატები უნდა გამოგზავნონ შემდეგის ნორმით: 10 დან 20 წევრამდე 1 დელეგატი, 30-დან 50 წევრამდე 2 დელეგატი, 50 დან 100 წევრამდე 3 დელეგატი, 100-დან 200 წევრამდე 4 დელეგატი.

დელეგატები აღჭურვილნი უნდა იქნან შესაფერი მანდატებით. მოსულ დელეგატებს მიეცემა უფასო ბინა და საჭმელი შეღავათიან ფასებში.

ამხანაგური სალამით, გურიის მუშათა ასოციაციის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი.

———

**თელავი.** 21 დეკემბერს თელავში მოწვეულია მაზრის პროფესიონალურ კავშირების წარმომადგენელთა კრება ბანკის შენობაში, საღამოს 5 საათზე. კონფერენციაზე 20 კავშირის წევრი გზავნის თითო დელეგატს, თუ კავშირში 20 წევრზე ნაკლებია, მაინც გზავნის თითო დელეგატს. დელეგატები უნდა აღჭურვილნი იყვნენ სათანადო მანდატებით.

დღის წესრიგი: 1) ცენტრალური საბჭოს წესდების დამტკიცება, 2) ც. საბჭოს ალ. კომიტეტის არჩევნები, 3) მიმდინარე კითხვები.

თელავის ცენტრალურ პროფ. კავშირების საბჭო.

## პროვინცია

**ხ. მეჯვრისხევი** (გორის მაზრა). მიმდინარე 7 დეკემბერი მთელი ჩვენი ხეობისათვის მნიშვნელოვან დღეთ უნდა ჩაითვალოს. ამ დღეს მოხდა მოულოდნელი ზეიმი მთელი ხალხისა. დილის 8 საათი არ იქნებოდა, აჟარებულმა ხალხმა იწყო დენა ახლად დაარსებულ ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებისაკენ. ჩვენი კარჩაკეტილი, მუდამ დაღვრემილი გლეხი დღეს მოღიმარე, სადღაც დღეობისაკენ მიეშურებოდა. თითონ რომ მიდიოდა, თავის ჯალაბსაც ეპატიჟებოდა; წამო დედაკაცო, ჩვენში ტელეგრაფი უნდა დაარსდეს, დღეს აკურთხებენ, მთავრობის კაციც უნდა მოვიდესო, ვნახოთ რა კაცია, შვილოსნიასა, თორემ ყურები გამოგვიჭედეს, არ ვიგნანო, ალბათ რამესაც გვეტყვის, ყოველთვის კი არ მოვლენ. ერთი საათის განმავლობაში ფოსტის წინ, დიდ მოედანზე, ხალხის ზღვა იყო. ერობის წევრებიც სტუმრების მოლოდინში იყვნენ. კოპწიათ მოწყობილი ფოსტის დარბაზი დილიდანვე სავსე იყო ხალხით. შენობაზე აღმართული იყო დროშა. უნდა აღინიშნოს, რომ გარეშე სოფლელები ნაკლებათ იყვნენ, ალბათ, არ იცოდნენ. ხალხმა სული განაბა და გზისკენ დაიწყო ყურება. გორიდან მოჭრის ეტლი, შიგ ფოსტა-ტელ. უფროსი მგელაძე, გორის სამაზრო ერობის გამგ. წევრი კლიმიაშვილი და სხ. სტუმრები ფოსტისკენ გაემართნენ, სადაც დანიშნული იყო დაწესებულების კურთხევა. ამ დღეს ახლად განთავისუფლებული ნაძირალებისაგან მეჯვრისხევს თავის კულტურის მეფე ახლად გაჩენილ შვილის ნათლობა ჰქონია. ხალხი გზავნის მისალოც დეპეშებს თავის ნათესავებთან თფილისში, გორში და სხ. და ულოცავენ ამ დაწესებულების დაარსების დღეს. დაიწყო კურთხევა. ხალხი მოუთმენლად ელის სტუმრების გარეთ გამოსვლას და მათ გაუმართლდათ მოლოდინი. ყველა მოედნისკენ მოეშურება. აქ ბ ნი მგელაძე მიმართავს ხალხს: „გამარჯობათ ძმებო“. ქუხილის მოხდით: „ღმერთმა გაღლეგრძელოს“ ძახილი აჩერებს მას. იგი განაგრძობს სიტყვას, რომელმაც ხალხს სულ ახალი ფიქრები აუშალა. მან ილაპარაკა ჩვენი მთავრობის პოლიტიკაზე, რის წყალობითაც ჩვენი ერი გადარჩა ფიზიკურ განადგურებას. ბოლოს ილაპარაკა რუსეთის მდგომარეობაზედაც და, შეადარა რა ჩვენი მდგომარეობა, სთქვა: „ჩრდილოეთისკენ იქ, რუსეთში, ალმშენობლობითი მუშაობის მაგიერ საფლავების ტყეები გაფურჩქნულან იმ ადგილებში, სადაც ხალხის საზრდო პურის ჯეჯილები უნდა ბიბინებდნენო“. დასასრულ მან უსურვა ხალხს გამარჯვება. იგრიალა ხალხის ტაშმა და: „გაუმარჯოს მთავრობას“ ძახილმა. მის შემდეგ გრძნობიერათ მიმართა ხალხს კლიმიაშვილმა; მისმა სიტყვამ ხალხი ძალიან ასიამოვნა. ხალხი სულ განაბული უსმენდა ყველა ორატორებს. ბოლოს ილაპარაკა ადგილობრივმა გლეხმა, რომელმაც სიტყვა დაათავა: „სირცხვილი ჩვენთვის, რომ ყველა ქვემძრომ და ხალხის მრევ პირებს თავის დროზე არ ვაძლევთ მთავრობას ხელში. სირცხვილი, თუ შემდეგშიაც გავაჭაჭანებთ მათ ჩვენ შორის. მთელი საზოგადოება ამ დღით აღტაცებაშია. „ხშირათ უნდა ხდებოდეს ეს ამბავი და მაშინ გვეცოდინება, შენი კი რიმე, ავიცა და კარგიცა—ეუბნებიან გლეხები ერთმანეთს. კრების დასასრულ მთელი ხალხის მონდომებით მთავრობას და დამფუძნებელ კრებას სამადლობელი დეპეშა გაუგზავნა ფ. ტ. უფროსმა მგელაძემ. ხალხი ასე აფასებს კულტურულ საქმეს დროა გაჩაღდეს კულტურული მუშაობა სოფლად. მარტო მთავრობა ვერას გახდება. სირცხვილი აქედან გაქცეულ მხდალ ინტელიგენციას, რომ აქამდის ვერ შეუგნია თავის მოვალეობა. მათი ვალია დაუბრუნდენ თავის კერა ხოფილს, რაც ქვემძრომთა სათარეშოთ გადაქცეულა.

იმავე დღეს მცირე სადილის შემდეგ სტუმრები დაბრუნდენ გორში. იმედია სხვა საზოგადოებათა მესვეურნიც ეცდებიან ამგვარ დაწესებულებათა დაარსებას. ეს პირველი ზეიმია გორის მაზრაში და ვისურვებ ამ პირველს მოჰყოლოდეს მრავალი სხვაც. ჩ—მ—თელი.


## განცხადებანი

ცეკვის სასწავლებელი
**ი. ა. როზენბერგისა.**
27 წელიწადია ასწავლის სპეციალურად: აზიურს, საბალეტო და ევროპიულ ცეკვებს. მეცადინეობა ყოველ დღე დილის 8 საათიდან საღამოს 9 საათამდე. ჩქარი და კარგად შესწავლისათვის იძლევა სრულ პირობას. მისამართი: ნიკოლოზის ქუჩა № 101. (3331-5-1)

**იყიდება აფთიაქი**
დიდძალი შტანგლაზებით და თავის მოწყობილობით, წამლების მხრივ საკმაოდ უზრუნველყოფილია, ერობებს დაეთმობა ხელსაყრელ ფასებში. პირობების გაგება შეიძლება ქ. ახალ-სენაკში დათიკო ქობალავასთან. (3327—3—1)

თვალის ექიმი
**ზ. მ. ცხვედაძე**
იღებს ავადმყოფებს დილით 1—3 საათამდე. იზმაილოვის ქუჩა № 11. მოსკოვის ქუჩიდან პირველი შესახვევი. (თ. 3322)

სად. ნატანებში ამ წლის 15 დეკემბერს
**დავკარგე**
ლუარსაბ გუგუშვილმა ჩემი წლიური პასპორტი მიღებული სენაკის მაზრაში სუჯუნის თემის სამმართველოში. 2) სამხედრო თავისუფლების მოწმობა და 3) მანდატი ს. ს. დ. პარტიის. მპოვნელს ვსთხოვ ზემოხსენებული მოწმობები გადმომცეს ნატანების სადგურის პირველ კლასის ბუფეტში. ლუარსაბ სოლომონის ძე გუგუშვილი. (ფ. 1—1)

**ვეძებ გაკვეთილებს ოჯახში**
დახელოვნებული ვარ ბავშვების გაწრთვნაში, შემიძლია მოვლა არანორმალური ბავშვისაც. დასრულებული მაქვს გიმნაზია და პედაგოგიური კურსები. ვიცი მუსიკა, ავათმყოფის მოვლა, მასაჟი და სხვ. ადრესი: გაზ. „ერთობის“ კანტორა ე. გდოვიაკისათვის. (უფ. 2—2)

**სამკურნალო**
(ძვ.კ. წით. ჯვ. საოლქო სამმართველო) ჩერქეზ. ქ. № 77, იაკუბოვიჩის აფთ. გვერ. ავადმყოფ. მიღება ექიმ სპეციალისტების მიერ ყოველ დღე 9—2 საათამდე.
გ. ხანაძე 9—12. შინ. ვენერ. სიფილ.
ფ. ფეხნერი 10—11, საბავშ. შინაგ. სნ.
ი. ტეროვაკიმოვი 12—1. ვენერ. სიფილ.
ი. ბოკერია 10—11. ხირურგ. ქალთა სნეულ. და საბებიო.
ი. ტერგრიგორიანცი 1—2. შინაგ. საბავ.
ტ. განეუმოვი 11—12. ქალთა საბებ. „606“ და „914“ ყოველ დღე.
რჩევა 10 მ. ოპერაციები მორიგებით. სამკურნალოს დირექტორი გ. გ. ხანაძე. ((2937—თ.)

ექიმი ნ. ლ. [illegible]
იღებს შინაგან, საბებიო და ქალთა სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 1—2 და საღ. 4—5, გარდა ოთხშაბათის და შაბათისა, რომელ დღეებშიაც იღებს მხოლოდ დილის 8—9. მისამართი: ნიკოლოზის ქ. № 7, ვორონცოვის ძეგლის ახლოს. (თ.—3023)

ექიმი ლ. გ. [illegible]
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ დილით 8—9 ს-დის და საღამოთი 4—6 ს-დის. მიხეილის პროსპ. № 64. (სავათმყოფოს ახლოს) ტელეფ. 14—60. (თ.—2662.)

ექიმი ქალი ტ. ხ. [illegible]-ხაბაზიძე
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან ქალის და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საბებიო დარიგებას ხელოვნურ წამლობა (606—914) დილის 10—12 ს. და საღამოს 5-6 ს. პლეხანოვის პრ. № 119, ტელეფონი № 9—26

ექიმი გ. ბ. [illegible]
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606“ და „914“) [illegible] მიღება ყოველ დღე დილის 8—11 [illegible] ქუჩა № 33

დოქტორი მედიცინისა ყოფ. ასისტენტი ბერლინის და მოსკოვის უნივერსიტეტების კლინიკებისა
**ვ. გ. მეგრაბიანი**
შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა იღებს რენტგენის ელექტრო-წამლობის კაბინეტში. გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით. ჭლექების ოპერაციო-პნევმოტორაქსი. ყოველ დღე დილის 9—12 საათ. და საღ. 5—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92. 3230—თ.

ქალ. სამტრედიაში
ექიმი ი. ი. ქეიშვილი იღებს განსაკუთრებით სიფილისით (წამლ. „606“ და „914“) ვენერიულ (ტრიპერი და მათი შედეგები) და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ. მისამართი: ილიას ქუჩა, ტელეფონი 35. (2950—თ.)

ექიმი ქალი ე. ხ. ბებურიშვილი.
ღებულობს ავადმყოფებს შინაგან, ქალთა და ბებიობის ნაწილებში დილით 10—12 საათამდე საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: იზმაილოვის ქუჩა № 28. (თ. 3065).

ექიმი ა. [illegible]
შინაგანი ავათმყოფობანი. ყოველმხრივი გამოკვლევა და ფიზიკური მეთოდებით არჩენს გულის, ფილტვების, კუჭის და ჰაჯების ავათმყოფობათა. რენტგენის სხივები. კრილოვის ქ. სახლი № 5 დანიელოვისა, ბინა № 3. მიღება დილის 11—12 საათ. და საღამოს 4—8 საათამდე. (თ. 2642)

ექიმი კ. ტყეშელაშვილი
ღებულობს ავადმყოფებს ვენერიულ, სიფილ. (914 და 606) კანი, მიხაილოვის (№ 55) და ბელგიის (№ 1) ქუჩების კუთხე ფოსტის ახლოს. საღამოს 5—7 საათამდე. (2925)

**ოზურგეთში** ექიმი ს. გ. ახაშიძე
მიიღებს ავადმყოფებს შინაგან სენით: ფილტვების, გულის, კუჭის და წელების. ჭლექის ექიმობა „ტუბერკულინით“ და „ფოსფაციდით“, ვენერიული: სიფილისი და მისი შედეგები—„914“ და „606“ შეშხაპუნებით, ქ. სიმაიშვილის სახლში. (კუპ. 582)

ექიმი ლ. ა. ხარაძე
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87, მუშალის აუდიტორიის ახლო.

**ვაგზლის კერძო სამკურნალო**
(ვაგზლის ქ. შიხინოვის აფთიაქის გვერდით, ტელ. 6—95)
ექ. არგუთინსკი შინაგ. და საბავ. ყოველ დღე 10—11 ნახ.
ექ. გართანოვი—ვენერ. და კანის სნ. ყოველდღე 1—2.
ექ. ბოკერია ქირურგ. ქალთა სნეულ. და საბებიო ყოველ დღე 10—11.
ექ. ქალი იოსელიანი ქალთა სნეულ საბავ. ხუთშ. და შაბ. 11—12.
ექ. კლდიაშვილი შინაგ. და საბავ. ყოველ დღე 1—3.
ექ. ტუშურიანცი შინაგანი სნ. ყოველ დღე 11 ნახ—1.
რჩევა 10 მ., კონსულტაცია 50 მან. ოპერაცია შეთანხმებით. „606“ და „914“ (2930—თ.)

ექიმი ბ. ი. მირიანაშვილი.
შინაგანი სნეულებანი. მიღება საღამოს 5—7 საათამდე, მისამართი ანდრეევის ქუჩა № 74, ბინა № 1 ვაგზლის აფთიაქის ახლო. (2849—თ.)

ექიმი ნიკოლოზ [illegible]
იღებს განსაკუთრებით შინაგან სნეულებით ავადმყოფს ყოველ დღე საღამოს 4—6 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11. (ზემელის აფთიაქის ახლოს). (2795—თ.)

ექიმი ბ. ლ. [illegible]
სიფილისი და ვენერიული სნეულებანი. შეშხაპუნება „606“ და „914“. მიღება დილით 9—11, საღამოთი 4—6. მიხეილის პროს. სასტუმრო „ნოე“ [illegible] № 116 ტელ. 14—28

**იყიდება**
**ელექტრო-მოტორი**
ზავოდ „ვოლტისა“, კომპაუნდის სისტემის, გამძლე კონსტრუქციის, 40 ძალიანი, 226 ვოლტი, წუთში შემოტრიალდება 600 ჯერ. ადრესი: ვერის დაღმართი № 1 ეზოში, ყინულის მკეთებელი ქარხანა. ნახვა შეიძლება დილის 9—12 საათ. (3333—1—1)

**იყიდება**
სხვადასხვა ზომის
**განახლებული გალოშები**
ფასი 250 მან.—400 მანეთამდე.
მიხეილის პრ. № 129, მაღაზია „რეზინის საძირე“ იქვე ღებულობენ ძველ გალოშებს გადასაკეთებლად. (3329—2—1)